პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 162-163 (19604) ◆ სამშაბათი, 15 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 4 კაპ.

შავი მეტალურგია: პრობლემები, ამოცანები და გადაწყვეტილებები

საქართველოს შავი მეტალურგია — სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული თავისი განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზეა.

მდგომარეობას, პრობლემებს, რომელთა გადაჭრისთვისაც მუშაობენ რესპუბლიკის ამ დარგის მშრომელები, გაეცნო საქართველოში მყოფი სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრი ს. ვ. კოლპაკოვი. იგი ეწვია საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმს“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, შეხვდა ჭიათურელ, ზესტაფონელ და რუსთაველ მუშებს, სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელებს, ესაუბრა მათ კოლექტივის ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე, გამოიკითხა, თუ როგორ სრულდება სახელმწიფო გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, მაღალი შეფასება მისცა მათ საქმიანობას.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ დარგისადმი ყურადღებისა და ზრუნვის გაძლიერების მეობებით მან ბოლო ორ წელიწადში ხუთწლედის მოწინავე მიჯნებს მიაღწია.

მინისტრმა კმაყოფილება გამოთქვა საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ საქმიანობის, სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკაზტგვირაბგამყვანის“ შახტსამშენებლო სამმართველოს მშენებარე ბაზის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის რეკონსტრუქციის მიმდინარეობის გამო, რომელიც ამ ხუთწლედში უნდა დამთავრდეს.

11 ივლისს ს. ვ. კოლპაკოვი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი ეწვივნენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, მის სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტებს, მუშათა საერთო საცხოვრებლებს, სასადილოებს, სპორტულ კომპლექსს. ისინი დადებითად გამოეხმაურნენ მეტალურგთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მათი ჯანმრთელობის განტვირთვისათვის მიმდინარე მუშაობას, აღნიშნეს, რომ პარტიულმა, პროფკავშირულმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულმა თათბირმა დეტალურად გააანალიზა საქმის ვითარება მთლიანად მეტალურგიულ მრეწველობაში, განიხილა ამოცანები, რომლებიც მის წინაშე დგას მომდინარე ხუთწლედში და უფრო ნაგრძლივი პერსპექტივისათვის. თათბირზე გამოვიდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი და ს. ვ. კოლპაკოვი.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება ბევრად განისაზღვრება ამ დარგის გეგმაზომიერი განვითარებითაც. რესპუბლიკაში დასახულია საწარმოო ფონდების ინტენსიფიკაციის ღონისძიებანი, მესამედით და მეტად განახლდება მოქმედი სიმძლავრეები. კარდინალურად დაჩქარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ კოლექტივის წინაშე დასახულია კარბონატული კონცენტრატების გამოწვა-გრავიტაციული გამდიდრების მეთოდის დანერგვის დაჩქარების ამოცანა, ეს მეთოდი ქართველმა მეცნიერებმა შეიმუშავეს. ამის მეოხებით სახალხო მეურნეობაში მოექცევა რამდენიმე მილიონი ტონა დაბალხარისხოვანი მანგანუმის მადანი, მნიშვნელოვნად განახორციელდება ჭიათურის მანგანუმის საბადოს უქსპლოატაციის ვადა.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაშიც. უკვე 1988 წლიდან გეგმით წამგებიანიდან იგი უნდა გადადეს რენტაბელური, ამისათვის კი საჭიროა უფრო გაბედულად დაინერგოს წარმოებაში მეცნიერების მიღწევები, დაიხვეწოს ფეროშენადნობთა მიღების მთელი ციკლი.

სულ უფრო თანამედროვე ხდება აღჭურვილობის, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის მიხედვით რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. შეიოქმედებითის ძიებას, რომელშიც მთელი კოლექტივი მონაწილეობს, დადებითი შედეგები მოაქვს: გეგმა სრულდება ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

ახლა რუსთაველი მეტალურგების წინაშე დგას დიდი ამოცანა — მოემზადონ ელექტროფოლადსადნობი სამჭროს მშენებლობისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით. პერსპექტივაშია მილდამამზადებელი დგანის, თბოელექტროცენტრალის, „400“ მილსაგლინავი აგრეგატის ცალკეული კვანძების რეკონსტრუქციის მეორე რიგი.

ამასთან დაკავშირებით როგორც საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ისე საკავშირო საწარმოო გაერთიანებების „საკმადნის“, „საკფეროშენადნობის“, „საკმილფოლადის“, სამმართველოების „შავლითონრემონტის“, „შავლითონნერგოს“, კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს „შავლითონის“, „შავლითონმომარაგების“, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს, სხვა უწყებების ხელმძღვანელობას დაუსახეს კონკრეტული ამოცანები და განსაზღვრეს ამ და სხვა სამუშაოთა შესრულების ვადები. აღინიშნა მშენებლობაში დაშვებული ნაკლოვანებანი, რომლებიც ძირითადად შემკვეთი და სამშენებლო ორგანიზაციების არაკოორდინირებული მოქმედების გამო ხდება.

დაისვა საკადრო პოლიტიკის გაუმჯობესების, წარმოების მუშაკთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა ახალი კადრების აღზრდის, მათ მიმართ მომთხოვნელობის გადიდების, დიდნაყოფიერი შრომის პირობების შექმნის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შავი მეტალურგიის საწარმოებისათვის ხელმძღვანელი კადრების რეზერვის მომზადებას.

აღინიშნა, რომ პარტიულმა კომიტეტებმა თავიანთი მეთოდებით გავლენა უნდა მოახდინონ საწარმოო ამოცანათა გადაწყვეტაზე, მუდამ იქონიონ ყურადღების ცენტრში საკვანძო საკითხები, ხედავდნენ პერსპექტივას. პარტიული კომიტეტების საქმიანობის მთავარი სფეროა კადრები, ადამიანები, რომელთა მეშვეობითაც საჭიროა სწორედ ზემოქმედება კოლექტივების ცხოვრების ყველა მხარეზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, ზ. ა. ჩხეიძე, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

(საქინფორმი).

ტემპს მოუმატეთ, მუშენებლებო!

1986 წლის პირველ ნახევარში კაპიტალური მშენებლობის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით გეგმების (ლიმიტების) შესრულების შედეგები (პროცენტობით)

	გეგმის შესრულება		ლიმიტის გამოყენება		
	ძირითადი ფონდების ამოქმედება	საცხოვრებელი ფართობის ამოქმედება	კაპიტალურ დაბანდებათა	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა	სამინაო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა (წლიური)
აფხაზეთის ასსრ	74,1	108,5	85,8	84,1	32,7
აჭარის ასსრ	75,7	100,0	82,2	84,8	41,9
სამხრეთ ოსეთის აო	28,9	32,7	70,5	75,1	30,1
ქალაქები:					
სოხუმი	71,4	100,1	79,9	74,1	28,8
ბათუმი	57,7	100,0	80,7	80,3	40,8
ცხინვალი	37,7	38,4	68,4	68,7	29,2
თბილისი	92,0	104,3	101,3	100,7	44,0
ქუთაისი	112,7	118,9	104,4	102,3	45,5
რუსთავი	19,7	86,5	96,7	94,7	44,2
ფოთი	44,3	—	96,9	96,9	44,4
გორი	137,9	108,9	85,5	71,9	37,0
ზუგდიდი	171,2	—	92,5	95,0	51,4
ჭიათურა	178,6	200,0	102,4	99,9	43,9
ტყიბული	76,3	—	92,8	103,0	53,0
გაგრა	102,6	276,0	86,9	88,5	35,2
წყალტუბო	—	—	89,6	92,9	—
ტყვარჩელი	57,3	100,0	72,6	66,2	40,7
მარნეული	3,8-ჯერ	—	104,4	95,8	—

არ დავუშვათ თვითდამშვიდება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში ითქვა, რომ პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ განვლილი დრო მთელი დამჯერებლობით ადასტურებს, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს სიმართლის გაკვეთილს, რომლის შესახებაც იყო ლაპარაკი ყრილობაზე. „ყოველ სიტუაციაში, — აღნიშნა ვ. ს. გორბაჩოვმა. — უნდა გვახსოვდეს ლენინის გაფრთხილება: „საშიშია ილუზიები და თვითმოტყუება. დამღუპველია ჭეშმარიტების შიში“, პარტიახა და ხალხს სჭირდება მთელი სიმართლე — დიდსა და მცირეში. მხოლოდ იგი უნერგავს ადამიანებს მოქალაქეობრივი მოვალეობის განვითარებულ გრძნობას. ტყუილი და სანახევრო სიმართლე კი ხრწნის შეგნებას, ამახინჯებს პიროვნებას. ხელს უშლის რეალისტური დასკვნების, შეფასებების გამოტანას, უფრმლისოდაც შეუძლებელია აქტიური პარტიული პოლიტიკა“.

ეიძლება ითქვას, რომ ყრილობასა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კრიტიკულად გაანალიზდა ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო. მომთხოვნელობის, მომკითხველობის, სიმართლის ატმოსფერო, რომელიც მკვიდრდება, დამრაზმველ ზემოქმედებას ახდენს ყველა პრაქტიკულ საქმეზე.

თვითმაყოფილება, თვითდამშვიდება უცხოა ლენინური პარტიის სულისკვეთებისათვის. იგი წარმატებით გადაწყვეტს დროის მიერ დასახულ ხერიოზულ ამოცანებს, თუ თავად ნიადაგ განვითარდება, თავისუფალი იქნება „უცოდველობის“ კომპლექსისაგან, კრიტიკულად შეაფასებს მიღწეულ შედეგებს, მუდამ შეეცდება მიაღწიოს ახალ, კიდევ უფრო მაღალ მიჯნებს. ამჟამად დასახული პრობლემების მასშტაბურობა და სირთულე — სწორედ ამით არის ნაკარნახევი თანამედროვე მომთხოვნელობა კომუნისტების, მუშაობის მთელი სტილის, მისი მეთოდებისა და ხასიათისადმი.

ახლო წარსულის გაკვეთილები ბევრ რამეს გვასწავლის. ღირსეულად შეაფასა რა მიღწეული, ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ საჭიროდ მიიჩნია პატიოსნად და პირდაპირ უთხრას პარტიასა და ხალხს არსებული ნაკლოვანებების შესახებ. კაცმა რომ თქვას, რითი იწყებოდა ჩვეულებრივ ეს ნაკლოვანებანი? მისწრაფებით გველაპარაკა მხოლოდ მიღწევებზე, მიგვეჩქმალა ნაკლოვანებანი. ყოველივე ეს დამჯერებლად მოწმობს: სადაც იხშობა კრიტიკა და თვითკრიტიკა, სადაც რეალური ვითარების ღრმა, პრინციპული ანალიზს ცვლის ლაპარაკი მხოლოდ წარმატებებზე, იქ მახინჯდება მთელი პარტიული საქმიანობა, იქმნება გულარხეინობის, განუკითხაობისა და დაუსჯელობის ვითარება, რასაც მოაყვება ყველაზე სერიოზული შედეგები. და ეი მოხდა ისე, რომ რალაც ეტაპზე კრიტიკის ზონაში არ მოხვდა ცალკეული რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები და ქალაქები. ადგილებზე კი ამან გამოიწვია ის, რომ ნელნელა გაჩნდა ხელშეუხებელი რაიონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო საწარმოები, ცალკეული ხელმძღვანელები.

წამოაყენა რა ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების დებულება, პარტიამ მტკიცედ განაცხადა: არ არის და არც უნდა იყოს კონტროლს დაუქვემდებარებელი კრიტიკისათვის დახშული ორგანიზაციები, არ არის და არც უნდა იყოს პარტიულ პასუხისმგებლობას გამიჯნული ხელმძღვანელები. თავის კონკრეტულ გამოვლინებებსა და საზრუნავში ჯანსაღი, საქმიანი, მრავალფეროვანი პარტიული ცხოვრება, რომელსაც ახასიათებს გულახდილობა, გეგმებისა და გადაწყვეტილებების საჯაროობა, კომუნისტების ადამიანურობა და თავმდაბლობა, — ირა გვჭირდება დღეს. ამისათვის ყველგან და ბოლომდე უნდა დავძლიოთ ინერტულობა, ფორმალიზმი, გულგრილობა, ფუჭი და უთავბოლო ლაყბობით საქმის დაღუპვის ჩვევა, „გარდაქმნასთან შეგუების“ ცდები. ჩვენი მოწინააღმდეგეებია უწყებრიობა და კუთხურობა. ქალალდთმოსაზველობა და სხვა ბიუროკრატიული დაბრკოლებები, მომთხოვნელობისა და თვითკრიტიკული ანალიზის უქონლობა, რომლებიც გადაჭრით უნდა აღმოფხვრას.

ახლა მიმდინარე პარტიული მუშაობის გარდაქმნის არსი ის არის, რომ თითოეული პარტიული ორგანიზაცია — რესპუბლიკურით დაწყებული და პირველადი პარტიული ორგანიზაციით დამთავრებული აქტიურად იბრძოდნენ XXVII ყრილობის გეზის განხორციელებისათვის, ცხოვრობდნენ ძიების, თავიანთი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების განახლების ვითარებაში. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ყველა კომუნისტის მეცადინეობით. შინაპარტიული დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარების გზით, ხელმძღვანელობის კოლეგიტურობის, ფართო საჯაროობის, საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების პრინციპის ყველა დონეზე განხორციელებით. მხოლოდ მაშინ მკვიდრდება ხიანლის, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის სულისკვეთება, მიუღებელი ხდება ჩამორჩენა, უძრაობა, სხვისი მოიმედოობა და ბიუროკრატიზმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგებისა და ახალი ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციისათვის პარტორგანიზაციების ამოცანებისადმი მიძღვნილ მომდინარე პლენუმებსა და კრებებზე აქტუალურ პრობლემებს იხილავენ, როგორც წესი, არა იმ თვალსაზრისით, რაც უკვე გაკეთდა, არამედ პერსპექტივის გათვალისწინებით, ამასთან საკუთარი თავისადმი უდიდესი მომთხოვნელობის ნიშნით.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სეროიზული პრეტენზიები წაუყენეს პარტიის როვნოს საოლქო კომიტეტს, მის პირველ მდივან ტ. პანასენკოს. ამას წინათ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიამ მაღალვოლტიანი აპარატურის ადგილობრივ ქარხანაში გამოავლინა სახელმწიფო დისციპლინის დიდი დარღვევები, წამატებები, ხელმძღვანელი მუშაკებისათვის უკანონო პრემიების გაცემის ფაქტები. მასალები ამ საკითხის შესახებ გაეგზავნა პარტიის საოლქო კომიტეტს ღონისძიებების განსახორციელებლად. არ იკითხავთ რა შედეგი მოჰყვა ამას? ყველა დამნაშავე, მათ შორის საწარმოს დირექტორი, დატოვეს თანამდებობებზე. არავის აზრად არ მოსვლია სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება. უფრო მეტიც, ორი კვირის შემდეგ საქალაქო კომიტეტის ბიურომ ქარხანა სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნო. პარტიის საოლქო კომიტეტსაც აგრეთვე არ განუხორციელებია საჭირო ღონისძიებანი გაერთიანება „აზოტში“, ქარხანა „როვნოფლმანქანაში“, გეოლოგიურ-სადაზვერვო ექსპედიციაში არსებული დარღვევებისა და მიწერების ფაქტების გამო.

პარტია მოითხოვს, რომ გარდაქმნა მიმდინარეობდეს ყოველ სამუშაო ადგილზე, ყოველ შრომითს კოლექტივში, მართვის სფერში, პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში. გარდავქმნათ — ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, გავზარდოთ მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, საკუთარი მუშაობისადმი. დღევანდელი დღე — ეს ინერტულობისა და თვითდამშვიდების მტკიცე დაძლევაა, ეს პარტიის მიერ დასახული გეგმების განხორციელებისათვის ენერგიული საქმიანობის ხანაა. შეოქმედებითი შრომა, მაღალი ორგანიზებულობა და დისციპლინა, სრული უკუგებით მუშაობა — აი ის გზები, რომლებითაც უნდა მივაღწიოთ ნამდვილ წარმატებას მეთორმეტე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

ვიზიტად მოსკოვში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 14 ივლისს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა მალიელი ხალხის დემოკრატიული კავშირის გენერალური მდივანი, მალის რესპუბლიკის პრეზიდენტი მუსა ტრაორე მეუღლითურთ.

აეროდრომზე მალის ხელმძღვანელსა და მის მეუღლეს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. გრომიკო მეუღლითურთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ა. ალიევი და სხვა ოფიციალური პირნი.

საძმეო გამოხმაურება

• • თბილისის „ჩარხმშენებელის“ საწარმოო გაერთიანების მექანიკურ საამქროს მიამაგრეს მანქანათაშენებელი ტექნიკუმის მეოთხე კურსის სტუდენტი კომკავშირელი მანანა ყიფშიძე. პრაქტიკანტმა მალე მიიპყრო გვერდით მომუშავეთა და საამქროს ხელმძღვანელთა ყურადღება მონდომებითა და გარჯით. ყველას აზრით, მანანასაგან კარგი ჩარხმშენებელი სპეციალისტი დადგება, და ეს სასიამოვნო ფაქტია.

სურათზე: მანანა ყიფშიძე.

ა. სააკოვის ფოტო. • •

შრომის ნაყოფიერების ზრდით

ტყიბული. (საკ. კორ.) ე. მინდელის სახელობის შახტის კოლექტივმა მიმდინარე წლის სამუშაო გრაფიკს თითქმის ერთი კვირით გაუსწრო. საწარმოს კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის სახელმწიფო დავალება. გეგმის გადამეტებით უკვე ამოღებულია 5 ათას ტონაზე მეტი საკოქსე ქვანახშირი.

— ჩვენს საწარმოში ახლა არ არის ჩამორჩენილი უბანი და ბრიგადა, გვეუბნება შახტის უფროსი, ახალგაზრდა სამთო ინჟინერი ჯ. არაბიძე — რიტმულად მუშაობს ყველა მიწისქვეშა სანგრევი, გადიდდა მათი სადღეღამისო დატვირთვა. მინიმუმამდე შევამცირეთ მოცდენები, რამაც შესამჩნევად გაზარდა ეფექტიანობა. პროდუქციის მთელი მატება მიღწეულია შრომის ნაყოფიერების ზრდით. თვითონ განსაჯეთ. ამ მაჩვენებელმა იანვარ-ივნისში 121,3 პროცენტი შეადგინა, ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 6 კაპიკით შემცირდა.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და საუკეთესო შედეგები აქვთ იმ საექსპლოატაციო უბნების კოლექტივებს, რომლებსაც გამოცდილი სამთო სპეციალისტები თ. თურმანიძე, ო. სილაგაძე და დ. ბერიძე უდგანან სათავეში.

შახტის კოლექტივმა გადასინჯა თავისი შესაძლებლობა და ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა. წლის დამლევამდე მეშახტეები გეგმის გადამეტებით 7 ათას ტონა საკოქსე ქვანახშირს ამოღებენ.

„პრავდა“ გამოვიდა ● რა გაკეთდა?

დაისაჯნენ კრიტიკის ჩახშობისათვის

სკკპ ფსკოვის საოლქო კომიტეტი იტყობინება, რომ გაზეთ „პრავდის“ მასალები სათაურით „გაუსწორდნენ კრიტიკას“, რომელიც 13 ივნისს დაიბეჭდა, განხილეს პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. კრიტიკა პარტიის სტრუგი-კრასნიეს რაიონული და საოლქო კომიტეტების მიმართ სწორად იქნა მიჩნეული.

საოლქო კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ პარტიის სტრუგი-კრასნიეს რაიკომმა, პირადად პირველმა მდივანმა ამხ. რუმიანცევმა და რაკომის მდივანმა ამხ. ანონმა მართლაც დაუშვეს უხეში ადმინისტრირება და ჩაახშეს კრიტიკა რაიონული გაზეთის „ზა კომუნიზმის“ რედაქციის მიმართ, რაც შეუთავსებელია პარტიული ცხოვრების ნორმებთან, ეწინააღმდეგება პარტიის მითითებებს პარტიული კომიტეტების მუშაობისა და პრესისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნის შესახებ.

სასურსათო საქონლით რაიონის მცხოვრებთა შეუფერებელი უზრუნველყოფისათვის სავაჭრო ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის ობიექტური შეფასების, გაზეთის კრიტიკული გამოსვლის მხარდაჭერის ნაცვლად პარტიის რაიკომის ბიურომ მიიღო უაღრესად მცდარი, უპრეცედენტო გადაწყვეტილება. რაიონული გაზეთის „ზა კომუნიზმის“ ნომრიდან სტატიის „თვალში ნაცარის“ ამოღებისა და 1986 წლის 15 მაისის ტირაჟის განადგურების შესახებ.

სკკპ საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება (ამხ. ფედოტოვი), რომელმაც იცოდა მომხდარი ფაქტი, დროულად ვერ გაერკვა მასში, არ მისცა მას პრინციპული პარტიული შეფასება. უფრო მეტიც, განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ფადეევი, სკკპ საოლქო კომიტეტის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის სექტორის გამგე ამხ. შელუდიაკოვი შეეცადნენ შეენელებინათ საკითხის სიმწვავე, და საოლქო კომიტეტის ბიუროს 10 ივნისის სხდომაზე ამ უკანასკნელმა არაობიექტური ინფორმაცია მისცა. პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ილინმა აგრეთვე დაუშვა ამ საქმეში უურინციპობა, დროულად და ღრმად არ ჩაწვდა საკითხის არსს.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, სტრუგი-კრასნიეს რაიონში სემინარის მოწყობისას საოლქო სამომხმარებლო კავშირის გამგეობამ (თავმჯდომარე — ამხ. როზოვი). მოჩვენებითი კეთილდღეობის შექმნისა და საქმის ვითარების შელამაზების მიზნით დაბის მაღაზიებში იმ მოცულობის სასურსათო საქონელი შემოიტანა, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა ჩვეულებრივ დღეებში მიწოდებას. სკკპ საოლქო კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგეს ამხ. მელნიკაოს, რომელიც სემინარში მონაწილეობდა, საჭირო შეფასება არ მიუცია ამისათვის.

საოლქო კომიტეტის ბიუროს, რომელმაც განიხილა თავდაპირველად ეს საკითხი, არ გამოუჩენია ჯეროვანი პრინციპულობა სტრუგი-კრასნიეს რაიკომის მდივნების, აგრეთვე სკკპ საოლქო კომიტეტის მუშაკების არასწორი მოქმედების შეფასებაში.

რაიონული გაზეთის „ზა კომუნიზმის“ რედაქციის მიმართ უხეში ადმინისტრირებისა და კრიტიკის ჩახშობისათვის და გაზეთის ტირაჟის განადგურებისათვის პარტიის სტრუგი-კრასნიეს რაიკომის პირველ მდივანს ნ. რუმიანცევს სკკპ საოლქო კომიტეტის ბიუროს 10 ივნისის დადგენილების შეცვლით გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით გამოეცხადა პარტიის რაიკომის მდივანს ნ. ანონს. ისინი გაათავისუფლეს თანამდებობიდან და რიგით სამუშაოზე გამოიყენებენ სპეციალობის მიხედვით.

სკკპ საოლქო კომიტეტის მდივანს ა. ილინს და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს ო. ფედოტოვს გამოეცხადათ საყვედური იმისათვის, რომ უურინციპოდ მიუდგნენ პარტიის სტრუგი-კრასნიეს რაიკომის მხრივ კრიტიკის ჩახშობის ფაქტის შეფასებას, გამოიჩინეს არაოპერატიულობა ამ საკითხის განხილვაში და სუსტი მომთხოვნელობა განყოფილების მუშაკებისადმი.

იმისათვის, რომ დაგვიანებით განხილულს და უპრინციპოდ მიუდგენენ პარტიის სტრუგი-კრასნიეს რაიკომის მხრივ რაიონული გაზეთის რედაქციის მიმართ კრიტიკის ჩახშობის შემთხვევას, შეეცადნენ შეენელებინათ საკითხის სიმწვავე და სუსტ ხელმძღვანელობას უწევდნენ პრესას, პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილეს ა. ფადეევს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის სექტორის გამგეს მ. შელუდიაკოვს გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. იგი გაათავისუფლეს თანამდებობიდან და აგრეთვე იმუშავებს რიგით სამუშაოზე სპეციალობის მიხედვით.

დაგმობილია, როგორც მაწყალი პრაქტიკა საოლქო სამომხმარებლო კავშირის სემინარის მოწყობისა, როცა შეეცადნენ შეექმნათ მოჩვენებითი კეთილდღეობა, რომელიც არ ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას და ჩქმალავს ვაჭრობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და პრობლემებს. ამ მოქმედებისათვის საოლქო სამომხმარებლო კავშირის თავმჯდომარეს ვ. როზოვს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

სკკპ საოლქო კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგეს ე. მელნიკაოს მიეთითა, რომ არაკრიტიკულად მიუდგა სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოქმედებას სტრუგი-კრასნოეს რაიონში სემინარის მოწყობისას.

ბიურომ დაავალა სკკპ საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, განსაკუთრებით საქალაქო და რაიონული გაზეთებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. გაძლიერდეს მათი გამოსვლების, ქმედითობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების აქტუალურ საკითხებზე, კრიტიკულად და ობიექტურად გაამუქონ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნა. დროული და პრინციპული შეფასება მისცენ ხელმძღვანელებს, რომლებსაც შეეხებათ პრესის კრიტიკული გამოსვლები. სკკპ საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილება გამოქვეყნდა საოლქო გაზეთ „ფსკოვსკაია პრავდაში“. იგი დაწვრილებთ განხილეს სკკპ საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების სემინარზე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლების, მათი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს განიხილავენ პარტიის საოლქო კომიტეტის მორიგ პლენუმზე, პარტიული მუშაკებისა და გაზეთების რედაქტორების სემინარებზე.

ა. რიბაკოვი,
სკკპ ფსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

„პრავდა“, 14.VII. 86 წ.

საელჩოს ეწვივნენ

14 ივლისს ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ჰ. ა. ალიევი, ა. ა. გრომიკო, ლ. ნ. ზაიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ა. პ. ბირიუკოვი, ვ. ა. მედვედევი, ვ. პ. ნიკონოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ი. ვ. კაპიტონოვი ეწვივნენ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლე ზუანის გარდაცვალების გამო.

მათ წუთიერი დუმილით პატივი სცეს ვიეტნამელი ხალხის გამოჩენილი შვილის, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის ხსოვნას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს სამძიმართა სამგლოვიარო წიგნში. (საკდესი).

• •

სურათზე: კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საელჩოში.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მშენებლობის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფისათვის

პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების ქმედითი ინსტრუმენტია აქტიური საინვესტიციო პოლიტიკა. იგი ექვემდებარება ქვეყნის წინაშე მდგომი მთავარი ამოცანების გადაწყვეტას და მიზნად ისახავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების მატერიალური ბაზისა და სტრუქტურის თვისებრივ გარდაქმნას. საინვესტიციო პოლიტიკის წარმატებას ბევრად განსაზღვრავს კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის გადიდება. უნდა შეიზღუდოს მშენებლობის ფრონტი და სულ ცოტა ორჯერ შემცირდეს მისი შესრულების ვადები. ეს კი მოითხოვს დაგეგმვის და მართვის სრულყოფას.

საბჭოთა საქართველოში კაპიტალური მშენებლობის სოლიდური პროგრამა შესრულდა. ხუთწლედიდან ხუთწლედამდე იზრდება კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა. შეთერთმეტე ხუთწლედში მოხდა ხარისხობრივი ცვლილებები, გაუმჯობესდა ეკონომიკური მაჩვენებლები. შარშან, 1980 წელთან შედარებით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მთლიანი მოცულობა 31,6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება 18 პროცენტით, ხოლო ფონდუკუგება 16,4 პროცენტით გაიზარდა.

ამ მოღწევებთან ერთად კვლავ ბევრი არსებითი ნაკლია, გადასაჭრელია მრავალი პრობლემა. ვერ უზრუნველყოფთ კაპიტალურ დაბანდებათა და მატერიალური რესურსების საჭირო კონცენტრაციას ასამოქმედებელ ობიექტებზე, სახსრები დაქსაქსულია, უხეშად ირღვევა ობიექტების აგების ვადები. მათი მშენებლობის ხანგრძლივობა ნორმატიულზე მნიშვნელოვნად მეტია, დიდია დაუმთავრებელი მშენებლობის ზენორმატიული მოცულობაც, სრულყოფას მოითხოვს კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვა, ორგანიზაცია და მართვა.

კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის გადიდებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებაში დიდი როლი განეკუთვნება დაგეგმვისა და მართვის სრულყოფას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ობიექტებისა და სიმძლავრეების მშენებლობის ვადების შემცირებას.

ხშირად ობიექტებისა და საწარმოო პროგრამის დაგეგმვა არ შეესაბამება ნორმატივებს და სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეებს, ამიტომ არ ხერხდება რეალური დავალებების დადგენა. დავალებები სათანადოდ არ არის დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკურ და შრომითი რესურსების, ობიექტების და სიმძლავრეების ამოქმედების ვადებთან. კაპიტალურ დაბანდებათა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაქსაქსვა იწვევს ეფექტიანობას, ხელს უშლის ძირითადი ფონდების დროულ ამოქმედებას, აფერხებს სახალხო მეურნეობის დარგების მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და ზრდის დაუმთავრებელი მშენებლობის ზენორმატიულ მოცულობას.

მართალია, რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს მშენებარე ობიექტების რაოდენობის შესამცირებლად, მაგრამ არასრულფასოვანი დაგეგმვა სახსრების დაქსაქსვას იწვევს. ხშირად ჩვენთან ერთდროულად შენდება 2-3-ჯერ მეტი ობიექტი, ვიდრე ამის საშუალება გვაქვს. შარშანდელი მონაცემებით 39 ობიექტი შენდება 5-10 წლისა და მეტი ხანის განმავლობაშიც. ამ სამუშაოების დასამთავრებლად საჭიროა 739,2 მილიონი მანეთი, 1985 წელს კი მხოლოდ 194,9 მილიონი მანეთი გამოიყო.

გადაუჭრელია მშენებლობის ხანგრძლივობის და ინვესტიციური ციკლის ნორმატიულამდე დაყვანის ამოცანა. დღევანდელი მოთხოვნებით განპირობებულია საგეგმო-პრაქტიკის სრულყოფის აუცილებლობა ეკონომიკური მეცნიერების წინაშე სულ უფრო რთულ ამოცანებს აყენებს. კაპიტალური მშენებლობის სფეროში დაგეგმვისა და მართვის გარდაქმნა უნდა წარიმართოს უწყებრივი და კუთხური ინტერესების დასაძლევად, დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის შესაბამებლად, ნორმატიულად დადასტურებული გეგმების შესამუშავებლად, ხუთწლედის წლების მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა და საიჯარო სამუშაოთა გეგმების ორგანული დაკავშირების მისაღწევად. ამავე დროს, რესპუბლიკაში ტერიტორიული თვალსაზრისით უნდა დაიგეგმოს კაპიტალური მშენებლობის ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი.

თუ ნორმატიულად დადასტურებული გეგმის პირობებში კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციის ნორმატიულ კოეფიციენტს მივიჩნევთ ერთის ტოლად, ხოლო კაპიტალურ დაბანდებათა ან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა კონცენტრაციის კოეფიციენტს განვსაზღვრავთ როგორც მათი საგეგმო მოცულობის შეფარდების ნორმატიულთან, მივიღებთ მეტად არასანარბილო სურათს, აღმოჩნდება, რომ კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციის კოეფიციენტი ნორმატივთან შედარებით 30-50 პროცენტით ნაკლებია. ეს კი მიუთითებს, რომ მასობრივია კაპიტალურ დაბანდებათა დაქსაქსვის პროცესი. მიუხედავად არაერთხელ მიღებული ზომებისა, ეს პრობლემა დიდი ხანია არსებობს, იგი ძალიან „სიცოცხლისუნარიანია“. ამ მხრივ განხორციელებული ღონისძიებები ჯერჯერობით საქმეს ვერ აღგებს.

მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის სამრეწველო ობიექტების მშენებლობა ნორმატიული ვადების მიხედვით მხოლოდ 68 პროცენტით იყო უზრუნველყოფილი ფინანსური და მატერიალური რესურსებით, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების შესაძლებლობათა გათვალისწინებით კი 56 პროცენტით, სოფლის მეურნეობის ობიექტების მშენებლობა — შესაბამისად 69 და 45 პროცენტით, სატრანსპორტო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა — 64 და 56 პროცენტით, კავშირგაბმულობის ობიექტების მშენებლობა — 62 და 31 პროცენტით, ვაჭრობის ობიექტების მშენებლობა — 74 და 57 პროცენტით და ა. შ.

ნორმატიულთან შედარებით მშენებლობის ვადების ზრდა, ძირითადი საწარმოო ფონდების დაგვიანებული ამოქმედება უარყოფითად მოქმედებს გეგმების შესრულებაზე, ქმნის დაძაბულ სიტუაციას, ხოლო კაპიტალური მშენებლობის მართვის კომპლექსური სისტემის უკონლომიკის, ფინანსურ-ეკონომიკურ, სრულყოფას მოითხოვს კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვა, ორგანიზაცია და მართვა.

კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის გადიდებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებაში დიდი როლი განეკუთვნება დაგეგმვისა და მართვის სრულყოფას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ობიექტებისა და სიმძლავრეების მშენებლობის ვადების შემცირებას.

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

რატომ სოფლიდან ქალაქში?

ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲤᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲢ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲣᲨᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲗᲐᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲣᲭᲘᲠᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲗᲐᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ

ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲣᲑᲜᲘᲓᲐᲜ თელავში წლების მანძილზე, ნელ-ნელა გაიკრიფნენ ახალგაზრდები, მათ ახალგაზრდობგამოვლილებიც მიჰყვნენ და სოფელში მუშაკაცი საძებარი გახდა. ოთხასზე მეტი ჯან-ღონით სავსე კოლმეურნე იოლი საშოვრის საძებნელად წავიდა და უკან აღარ მობრუნებულა.

...და აი, წლეულს, იანვარში კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე გარკვევით თქვა, რომ სოფლიდან წასულები შინ უნდა დაბრუნდნენ, მიხედონ კოლმეურნეობასაც.

...ორ-სამ თვეში ოცდაათი კაცი დაუბრუნდა ვარდისუბანს შინმობრუნებულ მეზობლებზე, იმაზე, თუ რა უჭირს და ულხინს ქალაქთან ახლომდებარე სოფელს, ვესაუბრეთ სახელოვან ვარდისუბნელ ტრაქტორისტს გიორგი თუშიშვილს.

—შარშან ბევრმა ვარდისუბნელმა, მართლაც, კარგად იშრომა, ზოგ რამეში წარმატებასაც მიაღწიეს: კოლმეურნეობამ 255 ათასი მანეთი მოგებაც ნახა, მაგრამ ამ სოფლის შესაძლებლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საერთო საქმე არცთუ ისე კარგად არის. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. კოლმეურნეობაში მევენახეობაც კი წამგებიანია ბევრ მრეწველობაში. ეს ბევრ ადგილზე ასეა. ეს ამ ოთხასზე მეტია, არც ამინდი გვწყალობს.

— და ყველაფერს ზოგიერთი გარე-გარე მოსიარული ბუნებრივ მოვლენებს დაბრალებს ხოლმე, ხომ?

— ეგრეა... თუმცა სხვა რამ უფროა საკითხი... წლევანდელი მოსავლის კაი საფუძველის ჩაყრა შევძელით, მაგრამ წლობით წამხდარ საქმეს ასე ჰაეჰარად ვერ გამოასწორებ, წახდენილის აღსადგენადაც ვიფიქრეთ, მაგრამ ხომ გსმენიათ — ერთბაშად სოფელი არ აშენებულაო.

გიორგის, ვატყობ, ერიდება აუგი თქვას თავის სოფელზე, მეზობლებზე, ჩვენ კი შევახსენებთ, რომ მოყვარეს პირში თუ არ უძრახე, ისე საქმე წინ ვერ წავა. არწყენაზე ვიყოთ, გიორგი: განა არ უნდა ვთქვათ, რომ 472 ჰექტარი ვენახისა და ორ ასეულ ჰექტარზე მეტ მინდვრისა და თუ ბოსტნის ორ განყოფილებად და შვიდ ბრიგადად გაყოფა ზარალის მეტს არაფერს მოიტანს? საინტერესოა, თვითონ განყოფილებათა გამგეები ზ. მორჩაძე და ა. ჯავახიშვილი რას აკეთებენ? თითოეულ ბრიგადას 60 ჰექტარზე ცოტა მეტი ვენახი აქვს. განა ბრიგადირები ვერ აუვლენ ზვრებს? განყოფილების გამგეები რის მაქნისებიანი არიან? საერთოდ კოლმეურნეობაში ბევრი სპეციალისტია, რომელთა ხელფასები ტვირთად აწევს კოლმეურნეობის ეკონომიკას. ეს მით უფრო დასანანია, რომ ზოგჯერ ეს სპეციალისტები ვაზის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის მავნებელ-დაავადებებს ვერაფერს შველიან. ყურძნის ჭიას თუ ვაზის ძირებში მოსულ უამრავ ბალახს რატომ ვერ სპობენ? შაბრშან კოლმეურნეობას ერთი ჰექტარი კიტრი ეთესა. ერთხელ მოკრეფის შემდეგ მცენარეს ობი გაუჩნდა, სპეციალისტებმა ვერაფერი უშველეს და მოსავალზე ხელი დაიბანეს. 14 ჰექტარი საზამთროს ბაღიდანაც თითქმის ვერაფერი მიიღეს, რადგან ყვავილობის დროს დაავადდა. ჯერ იყო და, სპეციალისტებმა გვიან დაადგინეს რა სჭირდა მცენარეს და რა- პრეპარატით უნდა ეფკურნალათ. მერე, როცა გაიგეს, დროზე ვერ - იშოვეს საჭირო პრეპარატი და მებაღეთა შრომა წყალში გადაყრილი აღმოჩნდა, 205 ტონის მაგივრად 31 ტონა საზამთრო მოკრიფეს. სპეციალისტებისა და სხვათა გამოსობით ვერც ნივრისა და სუფრის ჭარხლის მოსავალი მიიღეს, იქნებ არც გაემტყუნებათ ვარდისუბნელ ახალგაზრდებს, როცა ამბობენ — კოლექტივში მუქთა მჭამელი ბევრიაო.

ვერც მეცხოველეებმა და ამ დარგის სპეციალისტები დაკვეხნიან. ნამატის გეგმაც წლიდან წლამდე ვერ სრულდება; ვერც რძისა და ხორცის წარმოების გეგმები სრულდება. წელიწადში თითო ძროხიდან 1.300 კილოგრამზე მეტ რძეს რომ ვერ იღებენ, თითოეული სული საქონლის საშუალო წონა 213 კილოგრამს რომ არ აღემატება, ხოლო ღორისა — 83 კილოგრამს, სამარმატებითს ანაზღაურებას ნატურით გვაძლევდნენ. ვიცი, მკითხავთ — ახლაც ხომ არ მივუბრუნდეთ ასეთ ანაზღაურების ფორმასო. რა თქმა უნდა, მანქანა-ტრაქტორების სადგურს არ მივითხოვთ, მაგრამ ურიგო არ იქნება თუ ნატურით ანაზღაურებაზე მოვიფიქრებთ. მექანიზატორის ავტორიტეტის ასამაღლებლადაც რაიმე სერიოზული უნდა მოვიფიქროთ, რომ ახალგაზრდებს გული მოვუბრუნოთ სოფლისაკენ.

მართალი ხართ, გიორგი, ალბათ გაგიგონიათ ხატოვანი გამოთქმა, მექანიზატორის მუშაობა მხატვარსაც მოგვაგონებსო, მისი სახატავი მინდორიაო. მან მინდვრად ისეთი სურათი უნდა დახატოს, ყველას გულს უხარებდესო. მაგრამ ვიცი თქვენ იტყვით — მექანიზატორმა რა ქნას, თუ სტიქია ხშირად დიდ შესწორებას შეიტანს ხოლმეო. მართალი ხართ. ამას წინათაც ასე არ იყო! ისიც უნდა თქვას, ახლა ოცდაათიანი ან ორმოციანი წლები როდია. დღეანდელ ახალგაზრდას სჭირდება სხვადასხვა სახის თანამედროვე მანქანები, არც რემონტი უნდა გაჭირდეს. ბოლოს და ბოლოს, როგორ ვერ უნდა მოგვარდეს სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საქმე?

ყველამ ერთიანი ფიქრითა და ძალისხმევით ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ დღევანდელ ახალგაზრდობას, თითო-ოროლას კი არა, ყველას უყვარდეს საერთო საქმე. კოლექტივი ისე გაითავისონ, რომ შრომის დროს მეეროდნენ თავის თავთან. ამისათვის საჭიროა მათ მართლაც კარგი საქმეთა და საყოფაცხოვრებო პირობები შეექმნათ. ამაზე სერიოზულად ყველა ხელმძღვანელი ფიქრობს? ვარდისუბნელი გოგო-ბიჭები თელავში თვეში 80-100 მანეთად მუშაობენ, რადგან კოლმეურნეობაში ბევრი საქმე ხელით არის გასაკეთებელი.

ძირითადად ამიტომ მიდიან ვარდისუბნელები თელავში, თორემ, განა ჩვენმა ქალაშვილებმა და ბიჭებმა არ იციან, რომ ვარდისუბნის კოლმეურნეობის მევენახე თვეში 200 მანეთზე გამოდის? ან მეღორეობისა თუ მეძროხეობის ფერმაშიც თვეში 200 მანეთამდე ხელფასს რომ იძლევიან, ურიგოა? იციან, კარგად იციან, რომ 80 მანეთზე 200 მანეთი კაი გვარიანად მეტია, მაგრამ ქალაქში მუშაობა იოლია. თანაც იქ ყოველდღე მეტი გართობა და თავისუფლებაა.

რა თქმა უნდა, ყველაფერს ხელმძღვანელებს ვერ დავაბრალებთ. თითონ? ჩვენ მშობლებიცა ვართ დამნაშავე, რომ შვილებს ზვრები და ფერმები ვერ შევაყვარეთ, ვერ გავეთავისეთ. რამდენი დედ-მამა ვიცი, თითონ წელებზე ფეხს იდგამენ, დღედაღამ შეუსვენებლივ მუშაობენ კოლმეურნეობაშიცა და საკარმიდამოშიც, დაავრცელებენ დიდძალ ფიულს, ბიჭს უყიდიან ავტომანქანას და... ამას რაღა ენაღვლება, წაღმა-უკუღმა დაქროლებს. არც ჩაცმა-დახურვას ვაკლებთ. ქალაქელ გოგო-ბიჭებზე ნაკლებად ხომ არ ჩავაცმევთ?! ჰოდა, უშრომლად ნაყიდი მანქანის დამტვრევა ბიჭებს არ ენაღვლებათ. მათ თავისი შრომით რომ ეყიდნათ, დამწვარი თითიც გაუფრთხილდებოდნენ.

რაკი სოფლისა და ქალაქის გადასვლებზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთიც უნდა ვთქვა. ზოგ-ზოგებმა უკუღმა გაიგეს ქალაქისა და სოფლის გათანაბრება. უფრო სწორად, ვისაც როგორ მოეპრიანება, ისე გაიგო. ჩემი აზრით, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრების პირობები უნდა გათანაბრდეს, თორემ სოფელში ძრობა, ღორი, ფრინველი თუ გავიწყვიტეთ, სოფლის მადლი და ლაზათი დაიკარგება და ეგ არის.

აბა, გადავხედოთ ჩვენს ვარდისუბანს. უმეტესობას ისეთი დიდი და კეთილმოწყობილი სახლი აქვს, წინათ თავადსაც არ დაესიზმრებოდა, ახლა აეჯე, ავტომანქანა!.. ეს კარგია, მაგრამ ისე მიდის საქმე, რომ თანდათან სოფელი გარეგნულადაც გადავასხვაფერეთ, აღარც წყლის წისქვილის შხეილი ისმის (დავანგრიეთ) და აღარც ძროხების ბღავილი, მამლის ყიყინის დრო ლამის დაგვავიწყდეს. სხვანაირად ნუ გამიგებს ჩემი ზოგიერთი მეზობელი, თუ მათ გასაგონად მწარე სიმართლეს ვიტყვი: ზოგზოგი აღარ აკეთებს ამუშავებს კოლმეურნეობაში და არც ვშიერებს. ამას ვინღა დაიძებს, არც შინ აკეთებენ რამეს. ქთამსა, ყვარცხსა და მწვანილსაც კი თელავის ბაზარში ყიდულობენ. ძროხების რაოდენობა, ოცი წლის წინანდელთან შედარებით, გაზნეულია. უმეტესობას არა ჰყავს და ზოგი ჩემგან, ზოგიც სხვისგან ყიდულობს რძე-მაწონს. აი, როგორ გაიგო ზოგმა ქალაქისა და სოფლის გათანაბრება.

...და მაინც, ჩვენი სოფლის ახალგაზრდების საკმაო ნაწილს გული თბილისისა და თელავისაკენ მიუწევთ. ჩემი ჭკუით, აქ ჩამოთვლილ სხვა მიზეზთან ერთად ეს იმიტომ ხდება, რომ ქალაქში, ვიმეორებ და კიდევაც გასამეორებელია, მუდამ არის სხვადასხვა გასართობი ადგილი, სადაც ახალგაზრდები თითქმის ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს. ჩვენც კი გვაქვს კაი გვარიანი კლუბი, გვყავს მომღერალთა გუნდი, მაგრამ საღამოკონცერტები, რეგულარულად კი არა, ხახვახან იმართება. აი ამიტომ მიუწევთ ჩვენს გოგო-ბიჭებს ქალაქისაკენ გული. ჩვენ კი გვიკვირს — რატომ ქალაქისაკენო.

— რა უნდა ვქნათ, რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ეს თქვენი გოგო-ბიჭები ვარდისუბნისაკენ მობრუნდნენ? — გიორგი თუშიშვილი კარგა ხანს დაფიქრდა. ჩვენც ვაცალეთ. ვაცალეთ, რადგან ამ თემაზე რაიმეს თქმა იოლი არ არის.

— თქვენ არ იფიქროთ, რომ ამას პირველად თქვენ მეკითხებით. არა, ამაზე ბევრი მიფიქრია, მაგრამ კონკრეტული პასუხი ვერ მიპოვნია. ისე კი, რასაც ახლა გეტყვით, ნაუცბათევად ნათქვამად ნუ ჩამითვლით. ჩემი აზრით, ახალგაზრდას რა სურს, კარგად არ ვიცით. უწინარესად კი რაიონისა და უშუალოდ სოფლის ხელმძღვანელებმა უნდა ჩაიხედონ მათს სულში. მართალია, ჩვენს კოლმეურნეობაში საანგარიშო კრების შემდეგ ოცდაათი ახალგაზრდა დაბრუნდა თელავიდან, მაგრამ საკმაო ნაწილი მერყეობს. 815 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან 400-მდე ჯანღონიან კაცსა და ქალს კვლავ ქალაქი ურჩევია. როგორა გგონიათ, რატომ არ ბრუნდებიან, რატომ მერყეობენ? იმიტომ, რომ რასაც ვპირდებით, ჯერჯერობით მთლიანად ვერ ვასრულებთ. დაჩქარებაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ვარდისუბნის კოლმეურნეობაში კი (და არა მარტო ვარდისუბნისა) დაჩქარება არ იგრძნობა, წინსვლისაკენ სწრაფვა არ ჩანს. სიახლეებზეც სათანადოდ არავინ ფიქრობს, შრომის პირობები უნდა გავაუმჯობესოთ, ყოფაცხოვრების გარდაქმნაც არ უნდა დავიგვიწყოთ.

რას იტყვით, რა გზას დავადგეთ, რომ კოლმეურნეობაში ყველა კარგად შრომობდეს და საქმეც კარგად მიგვდიოდეს,—ამბობს გიორგი, — ნაკლოვანებანი რომ მთლიანად მართლაც დაჩქარებით გამოსწორდეს, რა უნდა ქნას გაგეობამ, თავად თავმჯდომარემ?

— უწინარესად კატორაში თვალსაჩინო ადგილზე ურნა უნდა დადგან ისეთი, არჩევნების დროს რომ ვხმარობთ ხოლმე, ზედ დიდი ასოებით უნდა დაწეროს — „მოგვაწოდეთ თქვენი მოსაზრებანი, წინადადებანი კოლმეურნეობის გამგეობისა და საერთოდ სოფლად მუშაობის გარდასაქმნელად და გასაუმჯობესებლად“. შემოსული წინადადებები გამგეობის, პარტბიუროს, პროფკავშირისა და კომკავშირის კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გულდასმით უნდა განიხილონ და ამის შემდეგ შეადგინონ სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა.

გარდა ამისა, კონკრეტულად კიდევ აი რა არის საჭირო: მევენახეობის ბრიგადირები არცთუ ისე შორს, წითელწყაროს რაიონის ზემოქედის ან არხილოსკაროს. კოლმეურნეობებში უნდა წავიყვანთან შრომის ორგანიზაციის (იჯარული მეთოდის) და ვენახების მოვლა-პატრონობის გამოცდილების შესასწავლად. მექანიზატორებს უნდა უჩვენონ ზეგანეულ ადგილზე ბრიგადირის ნ. მელიქიშვილის მექანიზატორთა დასა, იქვე — ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაობაც უნდა გაიცნონ. [illegible] მეცხოველეობა ეკონომიკურად [illegible] ხომ წელადა რძეს იღებენ [illegible] ცალკეული დასასვენებელი ოთახები საუკეთესო ავეჯით, ტელევიზორით, საშხაპეებით). მეღორეებმა კი მეზობელ ალვანის კოლმეურნეობის სახელგანთქმული მეცხოველის, გმირი ბრიგადირის ნაზო პეტრიაშვილის მუშაობის მეთოდი უნდა გაიცნონ. და ყოველივე ეს ვარდისუბანში დაჩქარებით უნდა გადმოიღონ. მეზობელთა გამოცდილების გასაცნობად სოფელში მობრუნებულებიც უნდა წაიყვანონ.

...და ყოველივე ვარდისუბანში ისე უნდა მოეწყოს, რომ არავინ თქვას უარი მუშაობაზე. ფერმები შაბათობის დროს უნდა გაწკრიალდეს, სპეციტანსაცმელი მეცხოველეებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ. პენსიონერებსა და „ავადმყოფობის“ მოყვარულებს საოჯახო იჯარის წესით ღორები უნდა გამოაზრდევინონ.

ახლა სოფლის ყოფა-ცხოვრებაზე:. სოფლის სასადილო რაიონის ხელმძღვანელთა დახმარებით კოლმეურნეობამ უნდა ჩაიბაროს. აქ კარგა გვარიანად შეკეთების შემდეგ კეთილმოწყობილი, საუცხო ახალგაზრდული კაფე უნდა მოეწყოს. კაფეს ირგვლივ მიდამო სულ ვარდ-ყვავილებში უნდა იყოს. ამ კაფეში ყოველ საღამოს სხვადასხვაგვარი შეხვედრები უნდა მოეწყოს; აქვე გაიმართებოდა ქორწილები, ნათლობები, დღეობები, დაბადების დღეები, სხვა ახალგაზრდული ღონისძიებები მუსიკის თანხლებით.

ახლა ზოგი იტყვის, თანხები საიდანო: აქ შესვლა და დროსტარება უფასო კი არ იქნება (მაგრამ არც ძვირად მოიმსახურებოდნენ, ბანაც უალკოჰოლოდ). გარდა ამისა, საკუთარი ვენახებიდან, ბაღ-ბოსტნებიდან მოწეული ნაყოფით დამზადდებოდა სასმელ-საჭმელი. თუ მოგვაკლდებოდა, საკარმიდამოში მოწეულსაც შევისყიდიდით. გარდა ამისა, რაიონის საზკეთის ფონდიდანაც გამოგვიყოფდნენ პროდუქტებს. ვარდისუბნელები თავად მოიწევდნენ პურს, დაფქვავდნენ, გამოაცხობდნენ და გაჩყიდიდნენ. ამით დიდძალი შემოსავალი ექნებოდა კოლმეურნეობას. სხვა დამხმარე საწარმოებიც უნდა შეიქმნას და შემოსავალი ამატებს, ახალგაზრდებიც მობრუნდებიან ამ საწარმოებში სამუშაოდ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ქალაქიდან ქურაკეაშვილმა და ბევრმა სხვამაც ჩვენი ნათქვამი შეიძლება ოცნებად ჩათვალონ. არა, ეს არ იქნება. [illegible] (ლუბ-კანტორაში პარკეტი რომ აყრილია და მოიწყობელია ბუღალტერიისა და სპეციალისტთა ოთახები, თავად ხელმძღვანელების კაბინეტები?). ეს უმნიშვნელო რამ არაფის ეგონოს. ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს თავიანთი კაბინეტი თუ ვერ მოიწყვიათ, სოფელს როგორა უპატრონებენ? კეთილმოწყობილი დაწესებულებანი — კანტორა, სკოლა, საბავშვო ბაღი, ფერმები, ადამიანში მოკრძალების გრძნობასაც იწვევს — უფრთხილდება და ესთეტიკურადაც სასიამოვნოა, მშრომელებსაც ეამაყებათ. სოფელს ვარდისუბანი ჰქვია და, ჩვენი აზრით, დაწესებულებანი და საკუთარი სახლები, განსაკუთრებით კი ჭიშკრები, სულ ვარდ-ყვავილებში უნდა იყოს ჩაფლული. თუ ვარდისუბანია, ვარდისუბანი უნდა იყოს!

კლუბში დროდადრო კონცერტები ეწყობა და ეგ არის, მეტი ხომ არაფერი! ამით თელავში წასულ ვარდისუბნელებს ვერ მოვაბრუნებთ. აქ ყოველ საღამოს, განსაკუთრებით შაბათ-კვირას ახალგაზრდული ცხოვრება უნდა დუღდეს. აქ უნდა მოეწყოს შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, მეცნიერებთან, კულტურის მუშაკებთან. მათი ნაამბობი და ნამოქმედარი აღზრდის კარგი საშუალებაა. აქტუალური შეხვედრები, ცეკვები, სიმღერები, შეჯიბრებები ახალგაზრდებს შორის ცოდნის გამოსამჟღავნებლად (ვინ რა იცის თავის რაიონის, საქართველოს, მთელი ქვეყნის და ამა თუ იმ სპეციალობაში). ღია სპორტული კომპლექსიც სულ მოკლე დროში უნდა მოეწყოს. ამასთან აქ გამარჯვებულები, უმთავრესად შრომის მოწინავენი, უფასოდ უნდა მგზავრობდნენ ტურისტული მატარებლით ჩვენს ქვეყანაში თუ უცხოეთში.

გიორგი ჩაფიქრდა. მერე გაიკვირვა: რაღა მაინდამაინც მე ამომირჩიეთ სასაუბროდო.

საქმეც იმაშია, რომ ჩვენ კი არა, მან თავისთავი თვითონ ამოირჩია. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას ვთხოვეთ სასაუბროდ ისეთი კაცი დაესახელებინათ, რომელსაც მორალური უფლება ექნებოდა სოფლის აქ-კარგზე თავისუფლად, პირუთვნელად ესაუბრა. არავის ეთქვა — თავისთავს მიხედოს, ჯობიაო. იცით რომ ისეთი კაცი, სამწუხაროდ, ვარდისუბანში ბევრი არ არის?

კაჭარავა მაყვალა კონდრატეს ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ოპერატორი.

მჭედლიშვილი კობა მირონის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ მთავარი ინჟინერი.

ჯანელიძე ამირან ვიქტორის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ „ქუთბარიტის“ მაღაროთსამმართველოს გვირაბგამყვანი.

ხალხთა მეგობრობის ორდენით

დემჩენკო სტანისლავ ალექსანდრეს ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ „საქგუმბრინის“ ექსკავატორის მემანქანე.

ლაბაძე მაყვალა ვალიკოს ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მეაპარატე.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ბაუერი ვიქტორ თევდორეს ძე — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ზეინკალი.

ვორონინ ვიქტორ ვასილის ძე — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მეაპარატე.

გუგუშაშვილი ვალოდია ზინოფის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოს ზეინკალი.

კაჭარავა მაყვალა კონდრატეს ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ოპერატორი.

ლომსაძე ვალენტინა დავითის ასული — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ „საქგუმბრინის“ მაღაროთსამმართველოს მემანქანე.

ტუტაევი კონსტანტინე პროკოფის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ სარემონტო-მექანიკური ქარხნის გაზშემდუღებელი.

ფეფელაშვილი კობა მირონის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ მთავარი ინჟინერი.

ჯანელიძე ანზორ ვიქტორის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ „ქუთბარიტის“ ბაკურიანის ანდეზიტის საწარმოს ავტომობილის მძღოლი.

მელიქიძე სერგი გიორგის ძე — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მრნდავი.

ობოლაძე გივი მელტონის ძე — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ სექტორის უფროსი.

ოძელაშვილი გივი სოლომონის ძე — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ საამქროს უფროსი.

ჯელაძე იროდი ინდიკოს ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ რაჭის სამთოქმიური ქარხნის მეაპარატე.

II ხარისხის შრომითი დიდების ორდენით

ბალმაშვილი ამირან ვასილის ძე — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ კომპრესორის დანადგარის მემანქანე.

ენუქიძე ანზორ ვასილის ძე— რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ უფროსი მეაპარატე.

ტუტაევი კონსტანტინე პროკოფის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ სარემონტო-მექანიკური ქარხნის გაზშემდუღებელი.

III ხარისხის შრომითი დიდების ორდენით

ბასმანოვი იური ევგენის ძე — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ელექტრომონტიორი.

ბენიძე ვახტანგ სევერიანის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ „საქგუმბრინის“ მაღაროთსამმართველოს ზეინკალი.

ბოდნარენკო ლარისა ივანეს ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მეაპარატე.

ვაჩეიშვილი ბექან აკაკის ძე— საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ მახარაძის მაღაროთსამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირი.

კარაპეტიანი რადიკ საშას ძე— საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ „ქუთბარიტის“ მაღაროთსამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირი.

კომაროვი დიმიტრი პავლეს ძე — „ცენტრქიმრემმშენმონტაჟის“ ტრესტის № 9 სარემონტო-სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

ლომსაძე ვალენტინა დავითის ასული — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ „საქგუმბრინის“ მაღაროთსამმართველოს ამწის მემანქანე.

ყორლანაშვილი დიმიტრი იოსების ძე — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მეაპარატე.

ნენიძე გოგიტა ვასილის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოს ზეინკალი.

ზაქარაია ნათელა ჩხაჩხუს ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ცვლის უფროსი.

მირიანაშვილი რომან ივანეს ძე — „ცენტრქიმრემმშენმონტაჟის“ ტრესტის № 9 სარემონტო-სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

ნოზაძე დავით ნიკოლოზის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ პროფკომის თავმჯდომარე.

ეფუცაკი თადეუშ მარტინის ძე — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ელექტრომონტიორი.

რეხვიაშვილი პეტრე თევდორეს ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოს ზეინკალი.

სარიშვილი ირინე იურის ასული — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ სარემონტო-მექანიკური ქარხნის ოპერაკოსი.

სვირიდოვა ელენე არუთინის ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მეაპარატე.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

ბუაჩიძე ზოია გიორგის ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მეაპარატე.

ენუქიძე გოგიტა ვასილის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოს ზეინკალი.

ზაქარაია ნათელა ჩხაჩხუს ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ცვლის უფროსი.

ილოდინაშვილი ლეონიდ ალექსანდრეს ძე — „ცენტრქიმრემმშენმონტაჟის“ ტრესტის № 9 სარემონტო-სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

ნოზაძე დავით ნიკოლოზის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ პროფკომის თავმჯდომარე.

ფარიშელია თამარ ეფრემის ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ლაბორანტი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

აბაშიძე ავთანდილ გიგლას ძე — „ცენტრქიმრემმშენმონტაჟის“ ტრესტის № 9 სარემონტო-სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს სამეშოთა მწარმოებელი.

ბიდარკინი ვიქტორ ვასილის ძე — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ზეინკალი.

სიხარულიძე დილიკო რეზოს ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ლაბორანტი.

სლიუსარი ლუბოვ ივანეს ასული — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ მაკურიანის ანდეზიტის საწარმოს მეაპარატეთა ბრიგადირი.

ტასოშვილი რუსუდან რევაზის ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მეავაგამძლე მასალების უბნის მუშა.

ცენტერაძე ვახტანგ ერემიას ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ მახარაძის მაღაროთსამმართველოს განყოფილების უფროსი.

ჭელიძე გულვან პეტრეს ძე— საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ მახარაძის მაღაროთსამმართველოს ხარატი.

ხარშილაძე ხათუნა ნიკოლოზის ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მეაპარატე.

ხუციევი თეიმურაზ ალექსანდრეს ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმმრეწვის“ სარემონტო-მექანიკური ქარხნის ელექტროზეინკალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 8 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით ლიტერატურული პრემიის იმ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოჩინეს თავი

საბჭოთა ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ:

ხალხთა მეგობრობის ორდენით

ბელეძე ვახტანგ ვასილის ძე — გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი, ქ. თბილისი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

ქემერტელიძე იორამ გრიგოლის ძე — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ რედაქციის გამგე, ქ. თბილისი.

დვინჭილია ჯანსუღ ნიკოლოზის ძე — ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი, ქ. თბილისი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

ელიგულაშვილი ედუარდ ბენიამინის ძე — „ლიტერატურნაია გაზეტის“ საკუთარი კორესპონდენტი, ქ. თბილისი.

ზუბადალაშვილი მანანა სტეფანეს ასული — გამომცემლობა „ნაკადულის“ უფროსი რედაქტორი, ქ. თბილისი.

ჯობაძე გიორგი (გივი) მინას ძე — გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ პასუხისმგებელი მდივანი, ქ. თბილისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**ა. გრ

გადამწყვეტი ფაქტორი

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებების პროექტში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული ცოდნის ალმოვლობის გადამწყვეტ ფაქტორად მართებულად არის მიჩნეული მეცნიერთა და მეცნიერ-პედაგოგთა კადრების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესება. ეს, მართლაც, დღევანდელი უმაღლესი სკოლის ერთ-ერთი ძნელბედნიერი პრობლემაა.

ჩემი აზრით, მეცნიერი პედაგოგი წარმოუდგენელია პედაგოგიური განათლების, ან, უკეთ რომ ვთქვათ, პედაგოგიური ფსიქოლოგიის (აღზრდის ფსიქოლოგიისა და სწავლის ფსიქოლოგიის) საფუძველების ცოდნის გარეშე, მეცნიერ პედაგოგთა კადრების ჩამოყალიბების პროცესში კი იგი, ავტომბრივად, უგულვებელყოფილია. სრულიად მართებულია, რომ ტექნიკური, სამედიცინო, ეკონომიკური, სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროფილის უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტურა კომპლექტდება ამავე უმაღლესი სასწავლებლების უმთავრესად წარჩინებით კურსდამთავრებულთაგან, მაგრამ მართებული არ არის, რომ ასეთი პროფილის უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტურის კურსდამთავრებულები პედაგოგიური ფსიქოლოგიის კურსის გარეშე რჩებიან.

ვფიქრობთ, საქმისათვის საჭირო და სასარგებლო იქნება, თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის მეშვიდე კარს ასეთი შინაარსის ამბავი დაემატება: გავაძლიეროთ ყურადღება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მეცნიერ-პედაგოგთა პედაგოგიური განათლებისადმი. იმისათვის, რათა ისინი ფლობდნენ პედაგოგიური მეცნიერების საფუძვლებს, უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტურებში შემოვიღოთ შესაბამისი სწავლება და სავალდებულო გიზდეს საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარება „პედაგოგიური ფსიქოლოგიის“ კურსში. ყველა კათედრის ასისტენტის, მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლისა და დოცენტის თანამდებობებზე თავდაპირველად ან ხელახალი ვადით არჩეულ იქნან მხოლოდ ის პირები, რომელთაც „პედაგოგიური ფსიქოლოგიის“ კურსი ჩაბარებული აქვთ ასპირანტურაში ან შემდგომ, კვალიფიკაციის ამაღლების პერიოდში.

მართებულად მიგვაჩნია უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერ-პედაგოგებისადმი სამეცნიერო ხარისხების და სამეცნიერო წოდებების მინიჭების აქამდე არსებული პრაქტიკის სრულყოფის კურსის აღება და დოცენტისა და პროფესორის წოდებათა მინიჭების საკითხის გადაწყვეტის უფლებათა გადაცემა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსადმი. მაგრამ ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ იმაზეც, რომ უკანასკნელ წლებში მეტად გახშირდა პროფესორის წოდების მინიჭება ისეთი პირებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ მეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ჩვენი აზრით, ასეთი პრაქტიკა ერთგვარად აკნინებს მეცნიერ-პედაგოგის ამ წოდების ღირსებას. იგი, როგორც წესი, უნდა მიენიჭოს მათ, ვისაც შესაბამისი პედაგოგიური მუშაობის გამოცდილებასთან ერთად აქვთ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, გამონაკლის შემთხვევაში კი — მეცნიერებათა კანდიდატებს (დოცენტებს), რომლებიც არა მარტო უმაღლესი სკოლის დამსაბურებელი პედაგოგები, არამედ აგრეთვე მეცნიერულ აღმოჩენათა ავტორები ან კიდევ აღიარებული შრომების ავტორები არიან.

როცა მეცნიერთა და მეცნიერ-პედაგოგთა კადრების თვისობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო ხარისხების დაცვის თანამედროვე ორგანიზაციისათვის დამახასიათებელ ხარვეზებს. უწინარესად მხედველობაში გვაქვს 1973 წლიდან დაწყებული დღემდე დაუსრულებელი შესწორებანი დისერტაციების დაცვის წესებში, მეცნიერთა ნომენკლატურაში, სამეცნიერო ხარისხების დაცვის საბჭოების დამტკიცება-გადამტკიცებების გაუმართლებლად გაჭიანურება. ყოველივე ამან მეცნიერ-პედაგოგთა შემადგენლობაზე უარყოფითი გავლენა იქონია. სწორედ ამ პერიოდში (1973 წლიდან დღემდე) უმაღლეს სასწავლებლებში მკვეთრად შემცირდა დოქტორის ხარისხისა და პროფესორის წოდების მქონე პედაგოგთა რაოდენობა. ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა პროექტში მართებულადაა აღნიშნული სამეცნიერო ხარისხების მინიჭების არსებული წესების შეცვლის აუცილებლობა. ბოლოს და ბოლოს, ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში გაუთავებელ ექსპერიმენტებს ბოლო უნდა მოეღოს.

დასამალი არ არის ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ასპირანტურაში (განსაკუთრებით დასწრებული სწავლების განყოფილებაში) მისაღებ კონკურსებში მონაწილეთა ოდენობა თანდათანობით მცირდება. უმეტეს შემთხვევაში ერთ ადგილზე ერთი კაცი აბარებს გამოცდას, ხოლო არც ისე იშვიათად ადგილები ასპირანტურებში აუთვისებელიც კი რჩება. თანდათანობით მცირდება აგრეთვე სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა (საკანდიდატო ან სადოქტორო დისერტაციების დაცვის სურვილის მქონეთა) რიგები. ამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზად ჩვენ მიგვაჩნია დასწრებული სწავლების ასპირანტის სტიპენდიის, აგრეთვე მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის ხელფასის სიმცირე.

სრულიაფაა საჭირდება აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსის წესით კათედრის გამგის თანამდებობის დაკავების პრაქტიკას. როგორც ცნობილია, კათედრის გამგის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს პროფესორს, ხოლო ის შემთხვევაში თუ ასეთი არ იქნება, გამონაკლისი წესით კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებლად 5 წლის ვადით ირჩევენ დოცენტს. იმის გამო, რომ პრაქტიკაში ასეთი გამონაკლისი დაშვებულია, ბევრი უმაღლესი სასწავლებელი ერთგვარ უპატიცეულობას იჩენს მეცნიერებათა დოქტორებისა და პროფესორებისადმი და კონკურსს აცხადებს იმგვარად, რომ ამა თუ იმ კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად მასში მონაწილეობის უფლება აქვს როგორც პროფესორს, მეცნიერების დოქტორს, ისე დოცენტს, მეცნიერების კანდიდატს.

კონკურსის ამგვარად წარმართვის პრაქტიკა, უთუოდ, საზიანოა და უარსაყოფი, კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ პროფესორებს, მეცნიერებათა დოქტორებს. მათ შორის უპირატესი მონაცემების მქონეს უნდა ვირჩევდეთ 10 წლის ვადით. თუ პირველად გამოცხადებულ კონკურსში პროფესორებმა (მეცნიერებათა დოქტორებმა) არ მიიღეს მონაწილეობა და კონკურსი არ იქნა, მაშინ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, პარტბიუროს და პროფბიუროს გაერთიანებული სხდომის წარდგენით რექტორატმა კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებლად მხოლოდ ერთი წლის ვადით შეიძლება დანიშნოს დოცენტი (მეცნიერების კანდიდატი), ერთი წლის შემდეგ კი კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად ხელახლა გამოცხადდება კონკურსი (დოქტორი) არ აირჩიეს, ასეთი კათედრის დამოუკიდებლად არსებობა, ალბათ, მიზანშეუწონელიც იქნება.

ამჟამად მოქმედი წესებით ნებადართულია უმაღლესი სასწავლებლის რექტორის, პროორექტორისა და დეკანის თანამდებობაზე დოცენტის (მეცნიერებათა კანდიდატის), ხოლო უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო და სასწავლო ნაწილისა და დეკანის მოადგილის თანამდებობებზე სამეცნიერო ხარისხის არმქონე პირების დანიშვნა. ეს არ არის სწორი. ჩვენი აზრით, უნდა დაკანონდეს რექტორის, პროორექტორისა და დეკანის თანამდებობებზე მხოლოდ დოქტორის ხარისხისა და პროფესორის, ხოლო სამეცნიერო (სასწავლო) განყოფილების გამგის და დეკანის მოადგილის თანამდებობებზე სულ ცოტა კანდიდატის ხარისხისა და დოცენტის წოდებების მქონე პირების დანიშვნა.

და ბოლოს, გვინდა შევეხოთ უმაღლესი სასწავლებლების პროორექტორების საშტატო შემადგენლობას. ამას ნინათ გაზეთ „კულტურა“ (ალბათ, „ინფორმაციის ბიულეტენში“) პროფესორმა ვ. დ. [illegible] თუკიშვილმა დააყენა იდეოლოგიური მუშაობის დარგში პროორექტორის თანამდებობის [illegible] ების საკითხი, მაგრამ, ალბათ, მხოლოდ ამით არ უნდა დაკმაყოფილდეთ. უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე უმაღლეს სასწავლებლებში მომრავლდა პროორექტორები. მაგალითად, დღეისათვის ვგულვაეს პროორექტორები: სასწავლო დარგში (ზოგან ორიც კი), სამეცნიერო მუშაობის დარგში (ზოგან ორიც კი), საღამოს სწავლების დარგში, დაუსწრებელი სწავლების დარგში, კვალიფიკაციის ამაღლების დარგში, სამეურნეო დარგში, მშენებლობის დარგში, მეაბრეშუმეობის დარგში და კიდევ სხვადასხვა დარგში. არის კი ამდენი პროორექტორი საჭირო? დარწმუნებული ვართ, რომ, რამდენალაც არ უნდა იყოს უმაღლესი სასწავლებელი, სრულიად საკმარისია სწავლების ყველა ფორმისათვის იყოს 1 პროორექტორი სასწავლო მუშაობის დარგში, 1 პროორექტორი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში, 1 პროორექტორი სამეურნეო მუშაობის დარგში, ე. ი. სულ 3 პროორექტორი. პროორექტორების სმრავლე ყოველთვის გამოიწვევს მათ მუშაობაში ფუნქციათა აღრევას, მოუქნელობას, პარალელიზმს, არაოპერატიულობას, თათბირომანიას, დაპირისპირებულობას და სხვა არასასურველ შედეგებს.

და კიდევ: უმაღლეს სასწავლებელში პროორექტორის თანამდებობაზე დანიშნული უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს გვერდის ავლით ხდება, ე. ი. ფაქტობრივად [illegible] ს არ [illegible] ტორებს. [illegible] ტორებს [illegible] დებლებს ეკრძალებოდეთ. [illegible] ტორებს [illegible] ტორებს [illegible] ტორებს

ახალგაზრდობისა და პოეზიის დღესასწაული

ინტერნაციონალური მეგობრობისა და პოეზიის დიდ ზეიმად გადაიქცა ვ. მაიაკოვსკის დღეები საქართველოში. პროლეტარიატის პოეტის შემოქმედების ფართო დიალაბონმა, მის ნაწარმოებებში მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების ღირსშესანიშნავი ეტაპების ასახვამ მისცა ტონი და განსაზღვრა მწერლების — მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლების გამოსვლების შინაარსი.

— ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ დღესასწაულის მნიშვნელობა, რომლებმაც არა მარტო მოგვცა საშუალება კიდევ ერთხელ ვზიარებოდით მაიაკოვსკის შემოქმედებას, არამედ გვენახა პოეტის მშობლიური ადგილები, — თქვა ახალგაზრდა უკრაინელმა პოეტმა სერგი სოლოვიოვმა. — ჩვენ, რომლებიც პირველ ნაბიჯებს ვდგამთ პოეზიაში, აქ კარგი შემთხვევა მოგვეცა კიდევ ერთხელ გვესაუბრა ჩვენს სქმეებზე, განგვესაზღვრა შემოქმედებითი გეგმები.

ახალგაზრდა პოეტების კონტაქტების განვითარების შესანიშნავი მაგალითი გახდა ორი მოძმე რესპუბლიკის მწერალთა ორგანიზაციების ხარკოვისა და ქუთაისის ახალგაზრდული სექციების შემოქმედებითი ურთიერთობა. ასეთი თანამეგობრობის შედეგებს — ორ ენაზე შესანიშნავ თარგმანებს გაეცნენ ამ ორი ქალაქის მკითხველები მაიაკოვსკის დღეების წინ. ქუთაისის მწერალთა სახლში გაიმართა სემინარი პოეზიის დღესასწაულის სტუმართა მონაწილეობით, რომელზეც განიხილეს თარგმნის პრობლემები, ლიტერატურული კრიტიკის განვითარების ტენდენციები, ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებითი შემკვიდრეობა და მისი გავლენა თანამედროვე პოეზიაზე.

— ვ. მაიაკოვსკის დღეები უკვე კეთილ ტრადიციად იქცა, განაცხადა სემინარის ხელმძღვანელმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ლაშა თაბუკაშვილმა. დღევანდელი დღესასწაულის განმასხვავებელი თავისებურება გახდა ის, რომ მასში მონაწილეობდნენ უმეტესად ახალგაზრდა პოეტები, ისინი, ვინც უნდა გაგრძელოს უფროს თაობათა ტრადიციები. ახლანდელი დღესასწაული, დარწმუნებული ვართ, ახალი ლექსებით გაამდიდრებს ჩვენს მრავალეროვნულ საბჭოთა პოეზიას.

ვ. მაიაკოვსკის დღეების საზეიმო დახურვას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ვ. ლორთქიფანიძე.

მ. კილაძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის მდივანი.

ისინი კოჯორში დამეგობრდნენ...

ზაფხულის გრძელი დღე უკრაინელი მოწყალეებისა და მათი თბილისელი თანატოლებისათვის აღსავსე სპორტული ასპარეზობით, თამაშებით, თვალწარმტაცი კურორტის მიდამოებში საინტერესო ექსკურსიებით.

ბევრი გამოგონება და ფანტაზია ჩაქსოვილი თემატურ დილაობებში, რომლებსაც პიონერებისათვის აწყობენ აღმზრდელები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მუშაკები. საინტერესოდ მიმდინარეობს შეხვედრები წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან, დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან და საბჭოთა არმიის მეომრებთან.

სურათებზე: კოჯორში დამეგობრდნენ კიევის № 171 საშუალო სკოლის მეექვსეკლასელი საშა კუზნეცოვი და თბილისის რკინიგზის № 1 საშუალო სკოლის მეოთხეკლასელი ლიზიკო იმერლიშვილი; სახელგანთქმული მეზღვაური, სოციალისტური შრომის გმირი, ატომმავალ „არქტიკის“ სპარტი კაპიტანი იური კუჩიევი სტუმრად ეწვია პიონერებს; მზადდება კიდლის გაზეთის მორიგი ნომერი. ცენტრში — პიონერხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ლიკა წულუკიძე.

ი. ზალამპრისა და ვ. ვალიშვილის ფოტო (საქართველოს საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

ღვინოს თუ დაუმეგობრდი, ჯანმრთელობას დაემუქრები

ექიმი გვირჩევს

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა ძალზე აქტუალურია. ამ დაავადებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევები, სახელმწიფოებრივი ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ საგრძნობლად ბევრია. როგორც ირკვევა, გულის დაავადების მიზეზი საკმაოდ ხშირად ალკოჰოლის მიღებაა.

ალკოჰოლის და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს შორის დამოკიდებულების გარჩევისას ამ საკითხს ორი მხრიდან უნდა მივუდგეთ: პირველი — როგორ ცვლილებებს იწვევს ალკოჰოლი ჯანმრთელ ორგანიზმში მისი ერთჯერადი, ხშირი და ხანგრძლივი დროის მანძილზე მიღების დროს და მეორე — როგორ მოქმედებს ალკოჰოლი გულ-სისხლძარღვთა დაავადების დროს. მიზანშეწონილია აღვნიშნოთ, რომ ალკოჰოლის მავნებლობა დღეისათვის უკვე საკამათო აღარ არის. პრინციპულად არ არსებობს გულისა და სისხლძარღვთა არც ერთი დაავადება, რომლის დროსაც ალკოჰოლური სასმელების მიღება გამართლებული იყოს, რომ იგი უარყოფით გავლენას არ იხდენდეს დაავადებებზე.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, სხვადასხვა ქვეყანაში ალკოჰოლიზმით დაავადებულია მოსახლეობის 1-10 პროცენტი, ხოლო სიკვდილის მიზეზთა შორის ზოგიერთ ქვეყანაში იგი მესამე ადგილზეა (გულ-სისხლძარღვთა და სიმსივნური დაავადებების შემდეგ).

ისიც გათვალისწინებულია, რომ ამ სნეულებით შეპყრობილნი სხვებზე ათი-თხუთმეტი წლით ნაკლებს ცხოვრობენ, ხოლო სიკვდილიანობა სხვა დაავადებებთან თანხვედრის დროს მათ შორის 3-5-ჯერ უფრო მეტია.

ალკოჰოლი ორგანიზმში მოხვედრისთანავე მოქმედებს თითქმის ყველა ორგანოსა და ქსოვილზე, უპირველესად კი ნერვულ სისტემაზე.

შინაგანი ორგანოებიდან ყველაზე ხშირად ზიანდება ღვიძლი. ალკოჰოლი იწვევს ღვიძლის უჯრედების დაღუპვას, რითაც მცირდება ღვიძლის მიერ შხამების გასეტრალების უნარი. ვითარდება ღვიძლის ანთება — ჰეპატიტი, გადიდება, ცხიმოვანი გადაგვარება და ბოლოს ალკოჰოლური ციროზი,

იშვიათი არ არის თირკმელების დაზიანების, კუჭ-ნაწლავიანტრაქტის მოქმედების დარღვევის, კუჭის დაავადების შემთხვევები (გასტრიტი, კუჭის წყლის გამოყოფის დარღვევა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების გამწვავება, ნაწლავების ანთება, კოლიტი), სხვადასხვა სახისა და ხასიათის კვებით მოშლილობანი, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, კბილების დაცვენა და სხვ.

ლოთობას ხშირად მოსდევს ბრონქიტი, ფილტვების ქრონიკული ანთება, სხვა ორგანოთა ანთება და აგრეთვე სხვა დაავადებათა განვითარებისა და მძიმე მიმდინარეობისადმი მიდრეკილება, თვით ორგანიზმის ზოგადი ამტანობის დაქვეითება. გარდა ამისა, რომ ლოთი მიდრეკილია ანთებისადმი, თვით ანთებაც ბევრად მძიმედ მიმდინარეობს მის ორგანიზმში და ცუდი გამოსავალიც ათჯერ მეტი სიხშირის გვხვდება. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ლოთებში ტუბერკულოზი ხშირია და თვით ტუბერკულოზი უფრო მძიმედ მიმდინარეობს, ვიდრე მოსახლეობის სხვა ფენებში. ისინი, ვინც ალკოჰოლურ სასმელებს ეტანება, ადრე ბერდებიან, ადრე ცვდება მათი ორგანიზმი და ამიტომაც ლოთების სიცოცხლის ხანგრძლივობა თანატოლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია.

ამრიგად, ორგანიზმში არ რჩება არც ერთი ქსოვილი, ორგანო და სისტემა, სადაც ალკოჰოლმა შესვლისას, მით უფრო მოჭარბებული რაოდენობით, არ დატოვოს თავისი მოქმედების მავნე კვალი. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ლოთობა და ბოროტმოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

შევჩერდებით გულ-სისხლძარღვთა სისტემაში იმ ძვრებსა და ცვლილებებზე, რომლებსაც იწვევს ალკოჰოლი როგორც ერთჯერადი, ასევე ხანგრძლივი და ხშირი მიღებისას.

გულის დაზიანების მიზეზია ალკოჰოლის უშუალო ზემოქმედება გულზე, გულის გაძლიერებული მუშაობა, ნორმალური მუშაობის პირობების დარღვევა და ნივთიერებათა ცვლის პროცესების დარღვევასთან დაკავშირებული გულის კუნთის ნორმალური კვების მოშლა. სხვადასხვა ავტორი ალკოჰოლით გამოწვეული გულის დაზიანების სხვადასხვა დასახელებას იძლევა. არსებობს შემდეგი ტერმინები: გულის ალკოჰოლური დაავადება, ალკოჰოლური მიოკარდიტი (ანუ გულის კუნთის ანთება), ქვემწვავე ალკოჰოლური მიოკარდიტი, ალკოჰოლური კარდიომიოპათია (ანუ გულის კუნთის ალკოჰოლური დაზიანება-პათოლოგია), დიდი ალკოჰოლური გული და სხვ. გარკვეულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ექიმებმა შესაფერისი ტერმინიც კი შემოიღეს — „საზეიმო გულის“ სიხდროში. ეს გულისხმობს გულის მუშაობის რიტმის დარღვევას ალკოჰოლური ექსცესის შეძლგომ პერიოდში, როცა იცვლება გულის მუშაობა ამ დატვირთვის საპასუხოდ. გულის ეს რეაქცია, როგორც ჩანს, უფრო ხშირია, ვიდრე აქამდე ეგონათ და ვიდრე აქამდე ირიცხებოდა. ალკოჰოლის საპასუხოდ გულ-სისხლძარღვთა მწვავე რეაქცია გამოიხატება გულის ცემის აჩქარების სახით. საკმარისია დავლოოთ ერთი კათხა ლუდი, რომ გულის ცემის სიხშირე ერთ წუთში 70-ის ნაცვლად 100 გახდეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მცირდება პაუზა თითოეულ შეკუმშვათა შორის ანუ მცირდება ის დრო, რომელშიც ხდება გულის დასვენება. ამით ალკოჰოლი ქმნის არახელსაყრელ პირობებს გულის მუშაობისათვის.

ამას შეიძლება მოყვეს ექსტრასისტოლები (გულის ცემის გამოვარდნა) და გულის მუშაობის რიტმის სხვადასხვა დარღვევა. კერძოდ, პაროქსიზმული ტაქიკარდიისა და მოციმციმე არიტმიის სახელწოდებით ცნობილი პათოლოგიები. ამ დროს ელექტროკარდიოგრამაზე სათანადო ცვლილებები აღინიშნება. შემდეგ შეიძლება განვითარდეს ქრონიული დატვირთვისას, ხველა-გულისმიერი (ანუ გულით გამოწვეული). თუ ალკოჰოლური ინტოქსიკაცია ძლიერია, ამას ემატება ქვედა კიდურთა შეშუპება, სხეულის წარიდღვა ნაწილთა დალურჯება (ციანოზი), გულის ზომების მომატება, არტერიული წნევის შეცვლა, შარდის შემცირება, ღვიძლის გულისმიერი (ანუ გულით გამოწვეული) გადიდება და სხვ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ გულის ალკოჰოლური დაზიანების ერთი გამოკვეთილი ფორმა, რომელსაც გერმანელები „ბავარიულ გულს“ უწოდებენ, ხოლო მედიცინაში ცნობილია „ლუდისმიერი გულის“ სახელწოდებით. კარგა ხანია შენიშნულია, რომ ლუდის მოჭარბებული რაოდენობის მიღებას ხშირად გულის ზომების მნიშვნელოვანი მომატება მოყვება. ადამიანის გული ხარის გულის ოდენა ხდება. აქედან წარმოსდგა სახელწოდება „ხარის გული“.

ალკოჰოლი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს არტერიული ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის განვითარებას. ცნობილი გახდა, რომ გადაჭარბებული სმა ამ დაავადებების წარმოშობისა და განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჰიპერტონიული დაავადების შემთხვევები ბევრად ხშირია ალკოჰოლური სასმელების ქარხანაში მოშუშავეთა შორის, ვიდრე სხვა სპეციალობის ადამიანებში.

ისიც უნდა ითქვას, რომ ალკოჰოლიზმი ხელს უწყობს ათეროსკლეროზის განვითარებას. ათეროსკლეროზი ის დაავადებაა, რომლის დროსაც სისხლძარღვებში ხდება ელასტიკურობის დაქვეითება, მასში შემაერთებელი ქსოვილის, ცხიმებისა და მარილების დაგროვება, რაც აძნელებს სისხლის მიმოქცევას და აუარესებს ქსოვილთა და ორგანოთა სისხლით მომარაგებას. მაგალითად, გულ-სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი ხელს უწყობს გულის სკლეროზს, გულის კუნთის ინფარქტის განვითარებას, ტვინის სისხლძარღვთა სკლეროზი კი ტვინში სისხლის ჩაქცევას და ა. შ.

მას შემდეგ, რაც ხალხი გაერკვა ალკოჰოლის უარყოფით თვისებებში, მან სხვადასხვა ღონისძიებები დაიწყო მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჯერ კიდევ ათასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ლოთები ჩინეთში სიკვდილით ისჯებოდნენ. ძველ ინდოეთში მათ ყველაზე მძიმე სასჯელი ელოდათ. ლოთს ასმევდნენ ცხელ ღვინოს და გაცხელებულ შარდს, ვიდრე არ მოკვდებოდა. ძველ ეგვიპტეში ლოთებს სდევნიდნენ და სამშობლოდან აძევებდნენ. ანტიკურ რომში არსებობდა სპეციალური კანონი, რომელიც მოსახლეობას, ერთი მხრივ, უკრძალავდა სპირტიანი სასმელის ხმარებას 30 წლის ასაკამდე, ხოლო, მეორე მხრივ, ქმარს უფლებას აძლევდა მოეკლა მთვრალი ცოლი. შუა საუკუნეების ინგლისში ლოთობა სამარცხვინოდ ითვლებოდა და შემჩნეული პირი საჩვენებლად კისერზე უღელშებმული დაჰყავდათ ქუჩებში.

ამჟამად დადგენილია, რომ ალკოჰოლიკის განკურნება შეიძლება. ადამიანი შეიძლება გადაეჩვიოს მის ყოველდღიურ მიღებას. მაგრამ თუ შინაგან ორგანოთა ცვლილებები ზორს არის წასული, მათ შორის გულ-სისხლძარღვთა მხრივ, ამ შემთხვევაში საქმე უფრო სავალალოა. ამიტომ, რაც დროზე მიიღება ღონისძიებები ამ მიზეზის მოსახსნელად და აღნიშნულ დარღვევათა გასასწორებლად, მით უკეთესი შედეგია მოსალოდნელი. მედიცინას სადღესაოდ უკვე აქვს წამლები, შემუშავებულია ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას იძლევა

სიფხიზლე სსოვრების ნორმა უნდა იყოს

საუბარი ახალ ერთობლივ ფილმზე

ქართველ კინემატოგრაფისტებს არაერთი მხატვრული ფილმი აქვთ შექმნილი თავიანთ საზღვარგარეთელ კინემატოგრაფისტებთან ერთად. დაიწყო ბულგარეთ ერთ „კოოპპროდუქციაზე“, როგორც უცხოელები უწოდებენ ერთობლივ ფილმს. ამჟამად ეს იქნება მულტიპლიკაციური თოჯინური ფილმი.

მხატვრული კინემატოგრაფიის ეს დარგი განსაკუთრებით განვითარებულია ჩეხოსლოვაკიაში— აქაური თოჯინური ფილმები მსოფლიო ეკრანების მშვენებად ითვლება და მათ ყოველ ქვეყანაში დიდი სიამოვნებით ხედებიან. დარგის ერთ-ერთ წამყვან შემოქმედად კი აღიარებულია **ვლადო პიკალიკი, რომელიც** ქ. ბრატისლავას კინოსტუდია „კოლიბაში“ მოღვაწეობს, მისი ფილმები, თუკი ისინი რომელიმე საერთაშორისო კინოფესტივალში მონაწილეობენ, როგორც წესი, მუდამ პრიზებით აღინიშნებენ, თანაც არა მარტო ევროპაში, არამედ ყველგან — ამერიკის, აზიის, აფრიკის ქვეყნებში, ავსტრალიაში.

ამჟამად ბატონი პიკალიკი თბილისში იმყოფება.

— თქვენი ჩამოსვლის კონკრეტული მიზანი?

— მე მარტო არ ჩამოვსულვარ, — გვიპასუხა რეჟისორმა,— ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ „კოლიბას“ ვიდეო და ანიმაციური ფილმების რედაქტორი იოზეფ კოლბერი და დირექტორის მოადგილე ბორის ბოპატა. ქართველ კოლეგებთან მოვიალაპარაკეთ ორგორც ღღეანდლეს შემოქმედებით, ასევე მომავალი ფილმის წარმოების საკითხებზე.

— შედეგი როგორია?

— მე მრავალი კოოპპროდუქციის მონაწილე გახლავართ და **გულახდილად გეტყვით,** რომ ასეთი სასიამოვნო და ნაყოფიერი შემოქმედებითი დისკუსია უცხოელ კოლეგებთან არასოდეს მქონია. ქართველმა კინემატოგრაფისტებმა პირდაპირ მოგვხიბლეს თავიანთი ერუდიციით, დახვეწილი გემოვნებით და მაღალი პროფესიონალიზმით. მათი მხატვრულ-მოქალაქეობრივი აზროვნება ეაღირსად თანამედროვეა. ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა, თუ რატომ აღწევს ქართული კინო ასეთ წარმატებებს — მხედველობაში მაქვს თქვენი საუკეთესო ფილმები.

— კონკრეტულად ვისთან გქონიათ შემოქმედებითი ურთიერთობა „ქართულ ფილმში“?

—ესენი არიან ჩემი კოლეგა ბატონი გივი კასრაძე, რომელიც ჩვენი ერთობლივი ფილმის თანადამდგმელიც იქნება და მხატვარიც, შემოქმედებითი გაერთიანების მთავარი რედაქტორი ბატონი ირაკლი გოცირიძე და სამხატვრო ხელმძღვანელი ბატონი გელა ანდელაკი, აგრეთვე მულტგაერთიანების დირექტორი ბატონი გურამ ბეგიაშვილი. მათთან ერთკვირიანმა მუშაობამ ფილმის მომავალი ახლებურად დამისახა.

— როგორ გაგიჩნდათ იდეა, შეგექმნათ ერთობლივი ფილმი ქართველ კინემატოგრაფისტებთან ერთად?

— ამ კეთილ საქმის თაოსანი თქვენი ცნობილი ეურნალისტი და კინემატოგრაფისტი ბატონი ირაკლი გოცირიძე გახლავთ. იგი ჩეხოსლოვაკიის ეემშპარიტი მეგობარია, ხშირად ჩამოდის ჩვენთან, იბეჭდება ჩვენს პრესაში, გამოდის ჩვენი ტელევიზიით, კინემატოგრაფისტები ხომ ვიცნობთ ერთმანეთს, ალბათ, ზაფხულში. გადაღებები გვექნება თბილისშიც და ბრატისლავაშიც. აქვე მინდა დავძინო: თბილისში ყოფნამ და ჩვენს მასპინძელ კინემატოგრაფისტებთან შემოქმედებითმა ურთიერთობამ, თუნდაც სულ რაღაც ერთი კვირის პერიოდში, უდიდესი სურვილი აღმძრა მომავალშიც ვითანამშრომლო ქართველ კოლეგებთან, ცხადია, თუ ისინიც დამთანხმდებიან. დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

— ჩვენც მადლობელი ვართ ინტერვიუსათვის.

— გულწრფელი ინტერვიუსათვის, — ღიმილით დასძინა პიკალიკმა.

თ. წიკლაური.

ფაბული

კეთილი ნების ასპარეზობანი

კეთილი ნების ასპარეზობანი თავისი კალაპოტით გრძელდება, მაგრამ მის მსვლელობაში თავდასებური გზით ოლიმპიადა შემოიჭრა. უფრო გასაგები რომ იყოს, მკითხველებს შევახსენებთ: ახლა მსოფლიოს 13 სხვადასხვა ქალაქს სურს თავის სპორტულ სარბიელებზე გამართოს 1992 წლის ზაფხულის ან ზამთრის ოლიმპიადები. და აი, ამ ქალაქებიდან რამდენიმემ ხელსაყრელად მიიჩნია, რეკლამა გაუწიოს მომავალ ოლიმპიადებს, რომელთა გამართვის უფლება ბოლოს და ბოლოს ორს მიეცემა. მისკოვში „ოლიმპიური“ კომპლექსის ერთ-ერთ დარბაზში თვითიანთი გამოფენები მოაწყვეს ბირმინგემმა, ბელგრადმა, ამსტერდამმა, პარიზმა და სოფიამ. ამ ქალაქების ოლიმპიურ ასპარეზობათა საორგანიზაციო კომიტეტების ხელმძღვანელებმა კეთილი ნების ასპარეზობათა მთავარ პრესცენტრში უკვე გამართეს პრესკონფერენციები და ჟურნალისტებს უამბეს, თუ რა შესაძლებლობები აქვთ ოლიმპიადების ორგანიზებულად გამართვისათვის.

ცხადია, ყველა პრეტენდენტი თავის ქალაქს თვლის შესაფერისად ამგვარი სპორტული ფორუმის გამართვისათვის, მაგრამ ყოველივე მაინც შეეცარიის ქალაქ ლოზანაში ოქტომბერში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე გადაწყდება.

ახლა ჩვენც მივაშუროთ შეჯიბრებებს, გავეცნოთ მორიგი დღის სპორტულ ბატალიათა შედეგებს:

მოკრივეთა შეჯიბრებაში საქართველოს სპორტსმენთაგან ერთი ათლეტი — თბილისელი ხვიჩა ხდრიანი ასპარეზობს, მან პირველი — მეოთხედფინალური ორთაბრძოლა ბულგარელ ალექსანდრე ხრისტოვთან გამართა. ამ შეხვედრაში მეტოქეებმა პოზიციური, ფრთხილი ბრძოლის ტაქტიკას მიმართეს. ორთაბრძოლის ასეთი სცენარის მიმდინარეობის დროს საკმარისია ერთ-ერთმა მოკრივემ ოდნავ მეტი გონებამახვილობა, ოდნავ უკეთესი ოსტატობა გამოიჩინოს, და ქულებით გამარჯვება სწორედ მას დარჩება. ამ მხრივ უფრო საზრიანი გამოდგა თბილისელი და მეტოქე დაამარცხა. ახლა ხდრიანი ნახევარფინალში შეხვდება კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს ჩი ხენ კიმს, კორელელმა თავის მხრივ მეოთხედფინალური შეხვედრა მოუგო ჯონ ვასკეზს (აშშ). ნახევარფინალური ორთაბრძოლები 17 ივლისს გაიმართება.

დამთავრდა **ფრენბურთელ** ქალთა გუნდების ტურნირი: ბოლო გადამწყვეტი შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: **მატჩი მეშვიდე ადგილისათვის.** გდრ-გფრ — 3:0, **მეხუთე ადგილისათვის** კსდრ-ჩეხოსლოვაკია — 3:2, **მესამე ადგილისათვის.** აშშ-იაპონია — 3:0, **პირველი ადგილისათვის.** სსრ კავშირი-პერუ —3:0: აღსანიშნავია, რომ ეს ოთხივე გადამწყვეტი მატჩი ზუსტად იმ განრიგით განმეორდა, როგორც საწყისი ეტაპის მეორე ტურში. ბოლო გადამწყვეტ მატჩებში გამარჯვებულთაგან მეორე ტურშიც მოგებით დაამთავრეს შეხვედრები იგივე მეტოქეებთან გდრ-ისა (3:2) და სსრ კავშირის (3:1) ფრენბურთელებმა, ხოლო ბოლო ეტაპში გამარჯვებულმა აშშ-სა და კსდრ-ს სპორტსმენებმა. მეორე ტურის შეხვედრები წაგეს (შესაბამისად 1:3 და 0:3). აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა ფრენბურთელებმა ტურნირის ყველა მატჩი დამჯერებლად მოიგეს და ასე დაეუფლნენ ოქროს მედლებს.

ფალავანი ასპარეზობაც. ამ სახეობის სპორტში ბოლო ორი ტურის მატჩების შედეგები ასეთია: აშშ-გფრ — 7:5, ჰოლანდია-საბერძნეთი — 7:5, უნგრეთი-სსრ კავშირი — 7:8, გფრ-ჰოლანდია — 10:8. საბერძნეთი-უნგრეთი — 8:12, სსრ კავშირი-აშშ — 10:5. საბჭოთა და უნგრელი წყალბურთელების შეხვედრა საკმაოდ დაძაბულად წარიმართა და დიდხანს ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა შედარებით შესამჩნევი უპირატესობის მოპოვება. თუმცა იყო მომენტები, როცა საბჭოთა ნაკრები 2-2 გოლით დაწინაურდა (6:4, 7:5 და 8:6). მაშინ კი, როცა მატჩის დამთავრებას 3 წუთი აკლდა, უნგრელებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაკვეთვა მოახერხეს და საბოლოო გამარჯვება ამ დრამატიზმით აღსავსე შეხვედრაში საბჭოთა წყალბურთელებს დარჩათ. ამერიკელებთან ბოლო ტურის მატჩი ფინალური შეხვედრის ტოლფასი აღმოჩნდა როგორც ერთი, ისე მეორე გუნდისათვის, ვინაიდან სწორედ ამ ეტაპზე გამარჯვებული დასაკუთრებდა ოქროს მედლებს. პირველი ორი პერიოდი საბჭოთა სპორტსმენებმა „შრალი“ ანგარიშით (6:0) მოიგეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს ამერიკელებმა თამაშის ერთგვაროვად გათანაბრება. საბჭოთა სპორტსმენებს თამაშის კონტროლი ხელიდან არ გაუშვიათ და, ცხადია, გამარჯვებულებმა დატოვეს აუზი.

ამრიგად, ჩვენმა წყალბურთელებმა ტურნირის ხუთივე მატჩი მოიგეს და 10 ქულით პირველობა დაისაკუთრეს. შემდეგნო ადგილები ასე განაწილდა: აშშ — 7 ქულა, უნგრეთი — 6, გფრ — 5, ჰოლანდია — 2, საბერძნეთი — 0.

წყალმხტომელთა ასპარეზობის ბოლო ორ დღეს კოშკიდან ხტომაში გამოვლინდნენ პრიზორები. **ქალთა** შორის უძლიერესი იყო ა. სტასიულევიჩი (450,48 ქულა), მეორე ადგილზე გამოვიდა ო. ბლინოვა (424,23). ამ ორ საბჭოთა სპორტსმენს ჩამორჩა მსოფლიო თასის მფლობელი ამერიკელი წყალმხტომელი მ. მიტჩელი და იგი მესამე ადგილს დასჯერდა (414,63). **ვაჟთა** შორის ყველას აჯობა ს. გურიელიმ (609,30 ქულა). მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს დ. ვოტსონმა (აშშ; 593,34) და ფენ გაომ (ჩინეთი; 569,55).

თავისუფალ ჭიდაობაში გუნდური ასპარეზობის მეორე დღეს „ა“ **ჯგუფში** აშშ-ს ნაკრებმა დაამარცხა თურქეთის გუნდი ანგარიშით 8:2, „ბ“ **ჯგუფში** კი საბჭოთა მოჭიდავეებმა ისევე, როგორც ადრე — მონღოლები, იაპონელებიც „მშრალი“ ანგარიშით დაამარცხეს — 10:0. ამ დღესაც ქართველმა ათლეტმა დავით გობეჯიშვილმა, რომელიც საბჭოთა ნაკრების ღირსების უმძიმეს წონაში იცავს, კიდევ ერთი წმინდა გამარჯვება იზეიმა. გუნდური ასპარეზობის მესამე ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: „ა“ **ჯგუფი.** ბულგარეთი-თურქეთი — 8:2; „ბ“ **ჯგუფი.** მონღოლეთი-იაპონია — 8:2. „ა“ **ჯგუფში** აშშ-ს და ბულგარეთის გუნდებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს (3-3). გარდა ამისა თითოეულს მოგებაც (13) და წაგებაც (7), თანაბარი აღმოჩნდა. უპირატესობა მიეცა და პირველი ადგილი მიეკუთვნა ბულგარეთის ნაკრებს, რომელსაც ორთაბრძოლების წმინდად მოგების რაოდენობა აშშ-ის ნაკრებზე მეტი ჰქონდა. „ბ“ **ჯგუფში** ქულათა მაქსიმუმი (4) დააგროვა სსრ კავშირის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მონღოლები (2 ქულა; მესამეზე — იაპონელები (0). ამრიგად, ფინალში გავიდნენ საბჭოთა და ბულგარელი მოჭიდავეები. შესამე ადგილისათვის ბრძოლის უფლება კი მოიპოვეს ამერიკელებმა და მონღოლებმა. ამის შემდეგ მოეწყო ფინალური მატჩი და შეხვედრა მესამე ადგილისათვის. აშშ-ის ნაკრებმა მას შემდეგ, რაც მონღოლების გუნდი დაამარცხა (8:2) მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. საბჭოთა სპორტსმენებმა ამჯერადაც „მშრალი“ ანგარიშით (10:0) იზეიმეს გამარჯვება და ბულგარელები მეორე ადგილს დასჯერდნენ. პირველობისათვის ბრძოლის გზაზე სსრ კავშირის ნაკრებმა სამ მატჩში ოცდაათი ორთაბრძოლა გამართა და ოცდაათივე მოიგო. ასეთი რამ ყოველთვის არ ხდება და, ცხადია, რომ ჩვენი გუნდი საუცხოოდ მომზადებულია ამ პასუხსაგები ტურნირისათვის. საინტერესო და დრამატული მომენტებით აღსავსე იყო უმძიმესი წონის მოჭიდავეების დავით გობეჯიშვილისა და ბულგარელი ათანას ათანასოვის ორთაბრძოლა. ქართველმა ფალავანმა ეს ერთობ ძნელი შეხვედრა ქულებით მოიგო და სწორედ მან დაუსვა საბოლოო წერტილი საბჭოთა ნაკრების „მშრალა“ ანგარიშით მორიგ გამარჯვებას.

გუშინ, გვიან ღამით კი პირადი პირველობა დამთავრდა, ფინალში გობეჯიშვილის მეტოქე იყო ცნობილი ამერიკელი მოჭიდავე ბ. ბეილი. ამ ორ ათლეტს ადრეც ჰქონდა ერთმანეთი ერთ-ერთ ასეთ ბრძოლაში